

სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი

ადგილობრივი თვითმმართველობა და არჩევნები

დამხმარე სახელმძღვანელო – გზამკვლევი პოლიტიკური
პარტიების წარმომადგენლებისათვის

თბილისი 2014

წინამდებარე ბროშურის გამოცემა შესაძლებელი გახდა საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ საგრანტო კონკურსის შედეგად დაფინანსებული პროექტის „ახლადჩამოყალიბებულ თვითმმართველ ქალაქებში პოლიტიკური პარტიების საკრებულოების წევრობის კანდიდატების შესაძლებლობების გაზრდა“ ფარგლებში.

სახელმძღვანელოში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და შეიძლება არ გამოხატავდეს საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის შეხედულებებს.

გამოცემა მოამზადეს:

ალექსანდრე სვანიშვილი
დავით ლოსაბერიძე
კონსტანტინე კანდელაკმა
კოკა კილურაძემ

© სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი, 2014

თბილისი, ბაქოს ქ.20ა
ტელ: 294 02 96
ელ.ფოსტა: office@iccc.org.ge
www.iccc.lsg.ge www.ivote.ge

საარჩევნო სისტემების განვითარების,
რეფორმებისა და სწავლების

ცენტრი



2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ საქართველო იწყებს ფართო დეცენტრალიზაციის პროგრამის განხორციელებას - ოპტიმალური ტერიტორიული ორგანიზების ჩამოყალიბებას, ადგილებისათვის უფლებამოსილებათა და ამ უკანასკნელთა რეალიზაციისათვის აუცილებელი ფინანსებისა და ქონების გადაცემას, საზოგადოების ჩართულობის ინსტიტუციონალური მექანიზმების ჩამოყალიბებას.

თვითმმართველობის ახალი კოდექსის მიხედვით, საწყის ეტაპზე ტერიტორიული რეფორმა ხორციელდება 7 საპილოტე მუნიციპალიტეტში, სადაც დღეს არსებული მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული ქალაქები ცალკე თვითმმართველ ერთეულებად ჩამოყალიბდებიან. ესენია: თელავი, მცხეთა, გორი, ახალციხე, ამბროლაური, ოზურგეთი და ზუგდიდი.

იმისათვის, რომ პოლიტიკური პარტიებმა წარმატებულად წარმართონ წინასაარჩევნო კამპანია და შემდგომ ახლადჩამოყალიბებული მუნიციპალიტეტების საკრებულოების მომავალმა წევრებმა ეფექტურად წარმართონ თავიანთი საქმიანობა და თვისობრივად ახალ საფეხურზე აიყვანონ თვითმმართველობის ინსტიტუტი, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია თვითმმართველობის და საარჩევნო კანონმდებლობის შესახებ მათი ცოდნის და ინფორმირებულობის დონის გაზრდა.

დამხმარე სახელმძღვანელო-გზამკვლევი განკუთვნილია პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისათვის, მომავალი საკრებულოს წევრებისათვის და ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.

სარჩევი

ადგილობრივი თვითმმართველობის არსი	5
თვითმმართველი ერთეულის ფუნქციები და უფლებამოსილებები.....	8
საკრებულოს სტატუსი და უფლებამოსილებები.....	12
საკრებულოს მუშაობის საერთო წესი.....	14
ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა	15
ახლადარჩეულ საკრებულოს პირველ სხდომაზე (სხდომებზე) განსახილველი საკითხები	17
საკრებულოს ორგანიზაციული სტრუქტურა.....	21
საკრებულოს თანამდებობის პირები	29
საკრებულოს წევრის სტატუსი	32
საკრებულოს წევრის უფლებები.....	34
საკრებულოს წევრის მოვალეობები.....	35
საკრებულოს წევრის შრომის ანაზღაურება	36
საკრებულოს წევრის თანამდებობრივი შეუთავსებლობა	37
ანგარიშგება.....	38
2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები	39
საკრებულოს არჩევნები.....	39
მერის/გამგებლის არჩევნები.....	41
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში მონაწილეობის გარანტიები	42
წინასაარჩევნო კამპანია	42
ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა.....	46
ამომრჩევლის მოსყიდვა.....	47
საარჩევნო დღის პროცედურები.....	48
პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის.....	59
შენიშვნა:.....	63

ადგილობრივი თვითმმართველობის არსი

თვითმმართველობა ნიშნავს საზოგადოებრივი საქმეების მონესრიგებას თვით ამ საზოგადოების წევრების მიერ, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. ამდენად, თვითმმართველობა, უპირველესად არის მოქალაქეთა თვითორგანიზაცია, ერთობლივად გადაწყვიტონ საერთო ინტერესების მქონე საკითხები. ადგილობრივი საზოგადოება არის თვითმმართველობის უმთავრესი სუბიექტი, რომლის უფლება, შესაძლებლობა და პასუხისმგებლობაც ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მონესრიგებაა. მოქალაქეთა მიერ თვითმმართველობის უფლების გამოყენება იწყება (მაგრამ არ მთავრდება) ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობით და გრძელდება მათი ადგილობრივი საზოგადოების წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტაში ჩართულობით. სწორედ მოქალაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელებაში არის თვითმმართველობის დამოუკიდებლობის უმთავრესი გარანტი და თვითმმართველობის განხორციელების შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმიც - რაც უფრო მეტი მოქალაქეა ჩართული თვითმმართველობის განხორციელებაში, მით უფრო მაღალია თვითმმართველობის განხორციელების ხარისხი.

ამავდროულად, თვითმმართველობა არის არა მხოლოდ უფლება, არამედ პასუხისმგებლობაც მიღებულ გადაწყვეტილებებსა და შესრულებულ საქმიანობაზე. საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა განსაზღვრავს როგორც თვითმმართველობის უფლებას, ასევე ამ უფლების განხორციელების შესაძლებლობას. ამ შესაძლებლობას ქმნის თითოეული მოქალაქის: თანაბარი შანსი - არჩეულ იქნეს თვითმმართველობის ორგანოებში, თანასწორი უფლება - მონაწილეობდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში და შესაძლებლობა - მონაწილეობდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების და აღსრულების პროცესში. თვითმმართველობის უფლება და ამ უფლებით განპირობებული შესაძლებლობა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თითოეულ მოქალაქეს აკისრებს პასუხისმგებლობას იმ ადგილობრივი საზოგადოების ბედზე, რომელსაც თავად მიეკუთვნება. მოქალაქეებს აქვთ საზოგადო საქმეთა მართვაში მონაწილეობის უფლება, აქვთ შესაძლებლობა უშუალოდ შეიტანონ წვლილი საერთო პრობლემების დაძლევაში და, იმავდროულად, სწორედ ისინი და სხვა არავენ არის პასუხისმგებელი მათ საერთო კეთილდღეობაზე.

ამდენად, ადგილობრივი თვითმმართველობის არსი და დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ ადგილობრივი საზოგა-

დოების წინაშე არსებულ პრობლემათა დამოუკიდებლად გადანყევების უფლება, საერთო კეთილდღეობაზე ზრუნვის შესაძლებლობა და საკუთარ თანასაზოგადოების ბედზე პასუხისმგებლობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, ადგილობრივ თვითმმართველობა განიმარტება როგორც „თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გადანყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.“ კოდექსი, ერთი მხრივ, აღიარებს რა თვითმმართველობას, როგორც მოქალაქეთა უფლებასა და შესაძლებლობას, მეორე მხრივ მიუთითებს ამ უფლების განხორციელების ძირითად ინსტრუმენტზე - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თვითმმართველობის განხორციელების ინსტრუმენტს წარმოადგენენ და არა თავად თვითმმართველობას. ამიტომაც ამ ორგანოთა ინსტიტუციური მოწყობა - წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ფორმირების წესი დაკავშირებულია მოქალაქის მიერ თვითმმართველობის უფლების განხორციელების ოპტიმალური მოდელის შექმნასთან, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად და ადგილობრივი საზოგადოების სახელით ყველა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხის გადანყვიტა. ამიტომაც, თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციური მოწყობა ეფუძნება რეპრეზენტატიულობასა და კომპეტენტურობის სწორი ბალანსის შექმნას. ინსტიტუციური აგებისას ერთ-ერთი უპირველესი მოთხოვნა, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს თვითმმართველობის ორგანოები, არის მიღებული გადანყვიტელობების პოპულარობა, ე.ი. მიღებული გადანყვიტელობა მაქსიმალურად უნდა ასახავდეს არაერთგვაროვანი, განსხვავებული ინტერესების მქონე საზოგადოების ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ღირებულ მისწრაფებებსა და მოთხოვნილებებს. ეს შესაძლებელია მხოლოდ ისეთი რეპრეზენტატიული ორგანოს არსებობით, როგორიცაა საკრებულო. საკრებულოში თავს იყრიან მოსახლეობის მიერ არჩეული პირები, რომელთაგან თითოეული მათგანი მოსახლეობის ამა თუ იმ სოციალური ფენისა თუ ჯგუფის ინტერესებს გამოხატავს, რის შედეგადაც მთლიანად საკრებულო მთელი ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენელია. მისი გადანყვიტელობები ყველაზე მნიშვნელოვან და ღირებულ ინტერესებს ასახავს, რითაც უზრუნველყოფილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებულ გადანყვიტელობათა პოპულარობა. მაგრამ, მხოლოდ რეპრეზენტატიულობის პრინციპზე მიღებული გადანყვიტელობები შეიძლება ყოველთვის არ იყოს რაციონალური და კომპეტენტური. ასეთმა გადანყვიტელობებმა, რომლებიც ერთჯერადად შეიძლება ყველაზე უფრო მისაღებია მოსახლეობისთვის, საბოლოო ჯამში შეიძლება დააზარალოს ამავე

მოსახლეობის ინტერესები. ამიტომ, საჭიროა გადანყვეტილებების პოპულარობა დაბალანსებული იქნეს გადანყვეტილების რაციონალურობით. წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც აირჩევა უშუალოდ მოსახლეობის მიერ, ორიენტირებულია მის მიერ მიღებულ გადანყვეტილებათა პოპულარობაზე. რაც შეეხება აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც ძირითადად შედგება დაქირავებული, პროფესიული ნიშნით და კომპეტენტურობის საფუძველზე შერჩეული მოხელეებისაგან, უპირატესად ორიენტირებულია გადანყვეტილებათა მიღების რაციონალურობაზე და ნაკლებად ამ გადანყვეტილების პოპულარობაზე. თვითმმართველობის ორგანოთა შორის ფუნქციითა ამგვარი გადანაწილება შესაძლებლობას იძლევა გამოინახოს სწორი ბალანსი პოპულარობასა და კომპეტენტურობას, დემოკრატიულობასა და ეფექტურობას შორის. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ საკრებულოში არ შეიძლება იყვნენ კომპეტენტური პირები, ხოლო მოხელეებისათვის სრულიად უცხო იყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები. მაგრამ, სწორი ბალანსის დაცვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თითოეული რგოლი ზუსტად შეასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციას და აიღებს შესაბამის პასუხისმგებლობას. საკრებულო ეს არის პოლიტიკური ორგანო, რომელმაც უნდა შეაფასოს და გააკეთოს სწორი პოლიტიკური არჩევანი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე. საკრებულოს და საკრებულოს თითოეულ წევრს სწორედ ამ საკითხის გადანყვეტაზე მოეთხოვება პასუხი. რაც შეეხება აღმასრულებელი ორგანოს მოხელეებს, მათი პასუხისმგებლობაა გადანყვეტილების კანონიერების, ეფექტურობის, ეკონომიურობისა და რაციონალობის უზრუნველყოფა. ფუნქციებისა და პასუხისმგებლობის ამგვარი გადანაწილება განაპირობებს ამ ორგანოთა და თანამდებობის პირთა მუშაობის სპეციფიკას. საკრებულო, როგორც წესი, იკრიბება თვეში ერთხელ, განიხილავს და აფასებს საკრებულოში შემოტანილ უკვე მომზადებულ საკითხს, საკითხის მოსახლეობის ინტერესებთან შესაბამისობის კუთხით. იგი ერთგვარად ნააგავს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს, რომელიც ლეზულობს ან არ ლეზულობს შემოთავაზებულ პროექტს. საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ. საკრებულოს წევრი არის პოლიტიკური თანამდებობის პირი, რომელიც არჩევნებში კენჭისყრით გამოხატავს თავის მზაობას დაიცვას შესაბამისი საზოგადოებრივი ფენის ინტერესები. ეს არის მისი საზოგადოებრივი საქმიანობის სფერო და არა შემოსავლის წყარო. განსხვავებით თვითმმართველობის მოხელისგან, რომელიც თანამდებობაზე ინიშნება კონკურსის საფუძველზე განუსაზღვრელი ვადით. მოხელისთვის ეს თანამდებობა არის მუდმივი საქმიანობის სფერო და შემოსავლის ერთადერთი წყარო (მოხელეს ეკრძალება ეკავოს სხვა თანამდებობა საჯარო სამსახურში და ენეოდეს სამენარმეო საქმიანობას, განსხვავებით საკრებულოს წევრისაგან, რომელზეც ასეთი სახის შეზღუდვები არ ვრცელდება).

საკრებულოს წევრის და მთლიანად საკრებულოს ფუნქცია - გააკეთოს სწორი არჩევანი გადაწყვეტილების მიღებისას მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, ერთი შეხედვით თითქოს არც თუ რთულია (მისცეს ან არ მისცეს ხმა შემოთავაზებულ პროექტს), მაგრამ არა მხოლოდ უაღრესად საპასუხისმგებლო, არამედ საქართველოს სინამდვილის გათვალისწინებით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. თვითმმართველობის ორგანოთა ფორმირებიდან დღემდე თვითმმართველობის უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს ის, რომ გადაწყვეტილებათა მიღება ეფუძნებოდა არა ადგილობრივი მოსახლეობის, არამედ „ზემდგომის“ (სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების, გუბერნატორის თუ პარტიული ოფისის) მითითებებსა და ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში საკრებულოც და გამგეობაც/მერიაც მხოლოდ „ზემდგომის“ დავალებათა შემსრულებლებს წარმოადგენდნენ. ეს არის უმთავრესი პრობლემა, რომლის გადაწყვეტის გარეშეც თვითმმართველობა ყოველთვის დაჩრება ფორმალური, მხოლოდ ქაღალდზე, კანონში ჩანერილი. ამ პრობლემის გადაწყვეტას ეხმარება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი აღმასრულებელი ორგანოს ფორმირების წესი, რომელიც ითვალისწინებს გამგებლის/მერის პირდაპირი წესით არჩევას. გამგებელი/მერი ხდება პოლიტიკური თანამდებობის პირი, რომლის საქმიანობაც ორიენტირებული უნდა იყოს მოსახლეობის ინტერესების გამოხატვაზე. ამდენად, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება დომინანტი ხდება არა მხოლოდ წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს, არამედ აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობაშიც, რამაც კიდევ უფრო რეალური უნდა გახადოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა ზეგავლენა მოახდინოს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაზე.

თვითმმართველი ერთეულის ფუნქციები და უფლებამოსილებები

თვითმმართველობის მიზანია მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტოს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. თუმცა, რას მოიცავს ტერმინი „ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები“, დგინდება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით.“ კონსტიტუციის ეს დებულება, რომელიც ასევე მოცემულია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიითა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, აწესებს თვითმმართველობის უფლებამოსილებათა განსაზღვრის ე.წ.

ზედა ზღვარს. თვითმმართველობას არ აქვს უფლება განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რაც კანონმდებლობით სახელმწიფო ორგანოების პრეროგატივაა. ასევე კონსტიტუციით დადგენილია, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებები გამიჯნულია სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებებისაგან.“ თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა განსაზღვრის საკითხს შეეხება კონსტიტუციის დებულება, რომლის თანახმად „თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები“. კონსტიტუციის მიხედვით თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებები დგინდება ორგანული კანონით. თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებები ექსკლუზიურია, ანუ არავის აქვს უფლება ჩაერიოს თვითმმართველობის მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებაში. თვითმმართველი ერთეული საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. საქართველოს კონსტიტუციით ასევე დადგენილია უფლებამოსილების დელეგირების ძირითადი პრინციპი „სახელმწიფო ორგანოების მიერ თვითმმართველი ერთეულისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება დასაშვებია საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე ხელშეკრულებების საფუძველზე, მხოლოდ შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით, რომელთა ოდენობის გაანგარიშების წესი განისაზღვრება კანონით.“

როგორც ვხედავთ, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილების განსაზღვრის პრინციპები და არა თავად უფლებამოსილებები. თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებების დეტალური ჩამონათვალი კონსტიტუციით დადგენილი პრინციპის გათვალისწინებით მოცემულია საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლში. კოდექსით მოცემული ეს ჩამონათვალი, პირობითად შეიძლება დავაჯგუფოვდ სფეროების მიხედვით:

- 1) საერთო ადმინისტრირების სფერო: თვითმმართველობის ორგანოთა სტრუქტურის შექმნა, თანამდებობის პირთა არჩევა და დანიშვნა, თვითმმართველი ერთეულის შიდა ადმინისტრაციული დაყოფა, თვითმმართველი ერთეულის სიმბოლოების დადგენა, საპატიო ნიშნებისა და ჯილდოების შემოღება, თვითმმართველი ერთეულის განვერდიანება თვითმმართველობათა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებში, თვითმმართველ ერთეულში გეოგრაფიულ ობიექტთა სახელდება; თვითმმართველ ერთეულში შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება;
- 2) საფინანსო-ეკონომიკური სფერო: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება; საბიუჯეტო სახსრების განკარგვა; ადგი-

ლობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება, მათი განაკვეთების დადგენა ზღვრული ოდენობების ფარგლებში; თვითმმართველი ერთულის განვითარების სტრატეგიების, პროგრამებისა და გეგმების მიღება და განხორციელება;

- 3) ტერიტორიული დაგეგმარებისა და მშენებლობის სფერო: მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების, დამტკიცება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება;
- 4) ბუნებრივი რესურსების, მიწათსარგებლობისა და ქონების მართვის სფერო: მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა; ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა;
- 5) ტერიტორიის კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კომუნალური მეურნეობის სფერო: მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა და შესაბამისი საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა; მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება და გატანა; წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა; ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მართვა და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემა; მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება; გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება; გარე რეკლამის განთავსების რეგულირება; შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა; სასაფლაოების მონყოფა და მოვლა-პატრონობა;
- 6) სოციალური სფერო: სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველ-

ყოფა; ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა; ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირებისა და აღჭურვის უზრუნველყოფა; უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია.

გარდა ზემო აღნიშნული საკითხებისა, თვითმმართველი ერთეული უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილებები და განახორციელოს ღონისძიებები დასაქმების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, მხარდაჭერისა და ტურიზმის განვითარების, სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის, გარემოს დაცვის, საზოგადოებრივი განათლების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვის, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერის და სხვა მიზნებით.

რაც შეეხება თვითმმართველ ერთეულზე უფლებამოსილებათა დელეგირებას, საქართველოს კონსტიტუციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, თვითმმართველ ერთეულზე უფლებამოსილებათა დელეგირება შესაძლებელია ორი გზით – კანონის საფუძველზე ან ურთიერთშეთანხმებით, ხელშეკრულების საფუძველზე.

პირველ შემთხვევაში, ცენტრალური სახელმწიფო უწყებების მიერ თვითმმართველობებზე უფლებამოსილებათა დელეგირება დაიშვება მხოლოდ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე. ამდენად, დელეგირების ეს სახე, როგორც წესი, არის ზოგადი ხასიათის და შეეხება ყველა თვითმმართველ ერთეულს. მეორე შემთხვევაში, როცა დელეგირება ხდება ხელშეკრულების საფუძველზე, დელეგირების ეს სახე არის ინდივიდუალური ხასიათის და შეეხება ერთ კონკრეტულ თვითმმართველ ერთეულს.

საკრებულოს სტატუსი და უფლებამოსილებები

საკრებულო თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელსაც თვითმმართველობის განხორციელების პროცესში წამყვანი როლი ენიჭება. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება ხდება საბჭოების ან ასამბლეების მიერ, რომლებიც შედგებიან პირდაპირი, საყოველთაო და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩეული წევრებისაგან და რომლებთანაც შეიძლება არსებობდეს მათ წინაშე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ორგანოები.“ ამდენად, იერარქია და ურთიერთიმართება თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებს შორის ევროპული ქარტიის მიერ ცალსახადაა დადგენილი. ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების მართვა და რეგულირება წარმომადგენლობითი ორგანოს უფლებამოსილებაა, რომლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შემსრულებელია თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც თავისი საქმიანობით პასუხისმგებელია წარმომადგენლობითი ორგანოს წინაშე.

წარმომადგენლობითი ორგანოს სტატუსის განმსაზღვრელი ეს დასკვნა არის ამოსავალი საკრებულოს როლისა და უფლებამოსილების დასადგენად. საკრებულო არის თვითმმართველობის უმთავრესი ინსტიტუცია და პოლიტიკური ხასიათის ორგანო, რომლის არჩევით ადგილობრივი მოსახლეობა გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას თვითმმართველ ერთეულში არსებული პრობლემების გადაჭრისა თუ შესაძლებლობების რეალიზების გზებთან დაკავშირებით. ადამიანები ხმას აძლევენ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე უკეთ გამოხატავენ თვითმმართველ ერთეულში მცხოვრები სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს. ამდენად, საკრებულოში, არჩევნების შედეგად, პროპორციულად არის წარმოდგენილი სხვადასხვა საზოგადოებრივი თუ სოციალური ჯგუფის ინტერესი. მოსახლეობის პოლიტიკურ ინტერესთა ამგვარი წარმომადგენლობა იძლევა საშუალებას და სწორედ საკრებულოა ის ორგანო, რომელიც უფლებამოსილია გამგებელთან/მერთან ერთად განსაზღვროს ადგილობრივი პოლიტიკა, ანუ მიიღოს პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა თვითმმართველი ერთეულის განვითარების პრიორიტეტები, სტრატეგია, ბიუჯეტი და სხვ.

ადგილობრივი პოლიტიკის განსაზღვრა საკრებულოს უმთავრესი ამოცანაა. აქედან გამომდინარეობს როგორც თავად საკრებულოს, ისე თვითმმართველობის სხვა ორგანოების საქმიანობის პროფილი და მიმართულებები.

საკრებულოს ძირითადი უფლებამოსილებები მოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლში. კოდექსის მიხედვით საკრებულოს უფლებამოსილებები დაყოფილია 5 ჯგუფად:

- 1) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზებისა და მისი იდენტიფიკაციის განსაზღვრის სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა და გაუქმება, მათი საზღვრების დადგენა; მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბის, დროშისა და სხვა სიმბოლოების), საპატიო ნიშნებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესების დადგენა; მუნიციპალიტეტში გეოგრაფიული ობიექტების სახელდება;
- 2) ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებაშია: საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცება; მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების) არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება; საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობისა და მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება; საკრებულოს კომისიის შექმნა, კომისიის თავმჯდომარის არჩევა და თანამდებობიდან გადაყენება, კომისიის პერსონალური შემადგენლობისა და დებულების დამტკიცება და მათში ცვლილების შეტანა; საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა და გაუქმება, დროებითი სამუშაო ჯგუფის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება და მასში ცვლილების შეტანა; საკრებულოს აპარატის დებულებისა და საშტატო ნუსხის დამტკიცება; კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებში მუნიციპალიტეტის/საკრებულოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის დანიშვნა;
- 3) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება: აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება; გამგეობის/მერის და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებისა და საშტატო ნუსხების დამტკიცება; გამგებლისთვის/მერისთვის უნდობლობის გამოცხადება;
- 4) საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში საკრებულო უფლებამოსილებაშია: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების კონტროლი და ბიუჯეტის შესრულების შეფასება; ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება; მუნიციპალიტეტის სახელით დადებული ხელშეკრულების დამტკიცება, აგრეთვე ისეთი გარიგების დადებაზე თანხმობის მიცემა, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტს; საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის, საკრებულოს თანამ-

დებობის პირებისა და თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრა;

- 5) მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება: გამგებლის/მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების, აგრეთვე 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი სანარმოს ქონების განკარგვის წესის დადგენა; გამგებლის/მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის შესყიდვების გეგმის დამტკიცება; საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენა; გამგებლის/მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება; მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტყისა და წყლის რესურსების მართვის წესის დადგენა.

ეს არის საკრებულოს უფლებამოსილებების ის ძირითადი ნუსხა, რაც მოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, თუმცა საკრებულოს უფლებამოსილებები მხოლოდ ამ ჩამონათვლით არ შემოიფარგლება. კოდექსის თანახმად საკრებულო ასევე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კანონი გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის სხვა უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებით, აგრეთვე განახორციელოს საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი უფლებამოსილებები. ამდენად, კოდექსმა საკრებულოს მიანიჭა საკმაოდ დიდი თავისუფლება ადგილობრივი პირობებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით მოახდინოს უფლებამოსილებათა გადანაწილება საკუთარ და აღმასრულებელ ორგანოს სტრუქტურებს შორის.

საკრებულოს მუშაობის საერთო წესი

საკრებულოს მორიგი სხდომები, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად, მოიწვევა საკრებულოს თავმჯდომარის მიერ არანაკლებ თვეში ერთხელ. საკრებულოს თავის რეგლამენტით შეუძლია წინასწარ დაადგინოს ყოველთვიური მორიგი სხდომის გახსნის დღე. ეს საშუალებას მისცემს როგორც საკრებულოს წევრებს, ისე მოსახლეობას წინასწარ იცოდეს საკრებულოს სხდომის გამართვის დღე, რაც სტაბილურს გახდის საკრებულოს მუშაობას. ასეთი წესი, ცხადია, არ გამორიცხავს იმას,

რომ საკრებულომ თავისი გადაწყვეტილებით შეიძლება საკრებულოს სხდომა დანიშნოს და გამართოს სხვა დღესაც, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ გამონაკლისი საერთო დადგენილი წესიდან.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საკრებულო სხდომაზე იღებს სამართლებრივ აქტებს: ნორმატიულს – საკრებულოს დადგენილებას და ინდივიდუალურს – საკრებულოს განკარგულებას. გარდა სამართლებრივი აქტებისა, საკრებულო უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს არასამართლებრივი ხასიათის გადაწყვეტილებებიც: მიმართვა, განცხადება, რეკომენდაცია, ცნობა და ა.შ. საკრებულო გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრით. ფარული კენჭისყრა იმართება მხოლოდ პირის თანამდებობაზე არჩევის, თანამდებობიდან გადაყენების და უნდობლობის გამოცხადების საკითხების გადაწყვეტისას. კოდექსის თანახმად საკრებულო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს იღებს საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა

ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა იმართება სპეციალური დღის წესრიგით და გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ სხდომაზე უნდა აირჩიონ საკრებულოს თანამდებობის პირები, იგი შეიძლება დროში საქმაოდ გაინელოს.

კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომას ინვესს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში. მუნიციპალიტეტის საკრებულო მუშაობას შეუდგება, თუ შესაბამისი საარჩევნო კომისია დაადასტურებს (არჩეულად გამოაცხადებს) ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის არჩევას.

ახალარჩეული საკრებულოს პირველი მორიგი სხდომა შეიძლება გაიხსნას, თუ მას ესწრება ახალარჩეული საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საკრებულოს წევრთა რეგისტრაციას, შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული საკრებულოს წევრის დროებითი მონაშობის საფუძველზე, ახორციელებს საკრებულოს აპარატი. სხდომაზე დასწრება საკრებულოს წევრებმა უნდა დაადასტურონ სარეგისტრაციო ფურცელზე ხელმოწერით.

საკრებულოს პირველ სხდომას ხსნის შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. მაგრამ სხდომის გახსნა არ ნიშნავს, რომ სხდომას მან უნდა

უთავმჯდომარეოს. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე სხდომის გახსნის-თანავე ასახელებს საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულად გამოცხადებულ პირთაგან უხუცესს (ასაკით უფროსს), რომელიც უფლებამოსილია იყოს სხდომის თავმჯდომარე და წარმართოს საკრებულოს სხდომები საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარის განსაზღვრისას მიუთითებს „უხუცესი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრზე“ და არა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთაგან უხუცესზე. ასეთი მითითება ვალდებულს ხდის საკრებულოს უხუცეს წევრს უთავმჯდომარეოს საკრებულოს პირველ სხდომებს საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე. მაგრამ, არ იქნება სწორი, კანონის ეს ჩანაწერი იმპერატიული სახით იქნეს გაგებული. ასეთ შემთხვევაში, თუ საკრებულოს უხუცესი წევრი რაიმე მიზეზის გამო არ დაესწრება ახლადარჩეულ საკრებულოს პირველ სხდომას, სხდომა უნდა ჩაიშალოს, რაც, რა თქმა უნდა, არამართებელია. თუ საკრებულოს უხუცესი წევრი არ ესწრება ახლადარჩეულ საკრებულოს პირველ სხდომას, ან უარს განაცხადებს საკრებულოს სხდომის თავმჯდომარეობაზე, იგი უნდა შეიცვალოს საკრებულოს სხვა, ასაკით უფროსი წევრით.

ახლარჩეული საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე (უხუცესი წევრი) საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე წარმართავს საკრებულოს სხდომას, ხელმძღვანელობს საკრებულოს სხდომის ჩატარების ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას და ხელს აწერს საკრებულოს სხდომის ოქმს. სხდომის დამთავრების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე არ სარგებლობს საკრებულოს სხვა წევრებისგან განსხვავებული უფლებამოსილებებით და თუ პირველივე სხდომაზე არ მოხდა საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა საკრებულოს მომდევნო სხდომაზე ხელახლა დგება სხდომის თავმჯდომარის განსაზღვრის საკითხი. ასეთ შემთხვევაში, საკრებულოს აპარატის უფროსმა უნდა გამოაცხადოს სხდომაზე დამსწრე წევრთაგან უხუცესი, რომელიც გაუძღვება სხდომას საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე.

თუ საკრებულოს პირველივე სხდომაზე ვერ მოხდა საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა პრობლემატური შეიძლება გახდეს საკითხი, რომელიც შეეხება საკრებულოს გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმზე ხელის მოწერას. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 35-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად საკრებულოს დადგენილებებს, განკარგულებებსა და სხდომის ოქმს ხელს აწერს საკრებულოს თავმჯდომარე. საკრებულოს თავმჯდომარის ეს უფლებამოსილება შეიძლება განახორციელოს მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, საკრებულოს თავმჯდომარის არყოფნისას, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას ან გადაყენებისას. ამდენად, კოდექსი არ ითვალისწინებს სხდომის თავმჯდომარის მიერ საკრებულოს გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმზე

ხელმოწერის შესაძლებლობას. ეს პრობლემა დგება, როცა ახალარჩეული საკრებულო იღებს გადაწყვეტილებას საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისა და საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ. ამ შემთხვევაში, საკრებულოს სხდომის ოქმს ხელს აწერს საკრებულოს უხუცესი წევრი, რომელიც არის ამ სხდომის თავმჯდომარე. რაც შეეხება საკრებულოს განკარგულებას საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისა და საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ, იგი ორგანული კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე ხელმოწერილი უნდა იქნეს საკრებულოს თავმჯდომარის მიერ. საკითხი კიდევ უფრო პრობლემატურია, როცა დგება რიგგარეშე სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ხელმოწერა, თუ ამ სხდომის მოწვევის წინააღმდეგი იყვნენ საკრებულოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე და სხდომას თავმჯდომარეობდა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრთაგან უხუცესი. ასეთ შემთხვევაშიც საკრებულოს თავმჯდომარე უნდა იყოს ვალდებული ხელი მოაწეროს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. სამწუხაროდ, კანონი არ ითვალისწინებს შემთხვევას, რა ხდება თუ საკრებულოს თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე უარს აცხადებენ ხელი მოაწერონ საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ეს ხარვეზი, მხოლოდ კანონში შესაბამისი ცვლილებით შეიძლება გასწორდეს.

ახლადარჩეულ საკრებულოს პირველ სხდომაზე (სხდომებზე) განსახილველი საკითხები

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მიუთითებს ახლადარჩეულ საკრებულოს პირველ სხდომაზე განსახილველ მხოლოდ ერთ საკითხზე. ესაა საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობა. კერძოდ, ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „ახალარჩეული საკრებულოს პირველი შეკრება შემდგარად ჩაითვლება, თუ საკრებულოს წევრთა რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილებაც ცნო საკრებულომ, არის საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა.“ ამ დროიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის საკრებულოს.“ კოდექსი არ განსაზღვრავს არც საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის საჭირო პროცედურას და არც სხვა საკითხს, რომელიც უნდა იქნეს განხილული ახალარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე. სარეკომენდაციოდ ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა საკრებულოს უფლებამოსილების ცნობამდე შეიძლება მიმდინარეობდეს შემდეგი დღის წესრიგით:

- საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება;
- სამანდატო დროებითი კომისიის არჩევა;

- ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევა;
- საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობა.

სხდომის გახსნისა და სხდომის თავმჯდომარის დასახელების შემდეგ, ახალარჩეული საკრებულო პირველ რიგში ისმენს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენებას არჩევნების შედეგების, შემოსული საჩივრების, განცხადებებისა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტების შესახებ. იმისათვის, რომ მოხდეს ახალარჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობა საჭირო იქნება, ერთი მხრივ შეიქმნას დროებითი კომისია, რომელიც საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენებიდან გამომდინარე წარმოადგენს დასკვნას ახალარჩეული საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის თაობაზე, ხოლო მეორე მხრივ შეიქმნას დროებითი კომისია, რომელიც უზრუნველყოფს კენჭისყრის ჩატარებას. ამ მიზნით, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენების მოსმენის შემდეგ, ახალარჩეულმა საკრებულომ, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, უნდა აირჩიოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისია და სამანდატო დროებითი კომისია. თითოეულ დროებით კომისიაში არჩეული უნდა იქნეს არანაკლებ სამი წევრი, რომლებიც თავისი შემადგენლობიდან, ხმების უმრავლესობით, აირჩევს დროებითი კომისიის თავმჯდომარეებს. დროებითმა კომისიებმა თავიანთი უფლებამოსილებები უნდა განახორციელონ საკრებულოს მიერ შესაბამისი მუდმივი კომისიის არჩევამდე.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, დროებითი კომისიების არჩევის შემდეგ, სამანდატო დროებით კომისიას უნდა გადასცეს საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისათვის საჭირო დოკუმენტაცია (საარჩევნო ოქმები, მასალები არჩევნების შედეგების, მათი ჩატარების სისწორის, შემოსული საჩივრების თაობაზე, განცხადებები საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტების შესახებ და სხვ.), რის შემდეგაც, ცხადდება შესვენება. შესვენების დროს, ცალკე ოთახში, იკრიბება სამანდატო დროებითი კომისია, რომელიც, საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით, ამზადებს და შესაბამის დასკვნას მოახსენებს საკრებულოს.

ახალარჩეული საკრებულო, სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოხსენების შესაბამისად, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არა ნაკლებ საკრებულოს წევრთა სითი შემადგენლობის 1/3-ისა, ღია კენჭისყრით, იღებს განკარგულებას საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის თაობაზე. საკრებულომ განკარგულება შეიძლება მიიღოს თითოეული წევრის უფლებამოსილების ცნობაზე სათითაოდ ან, განკარგულება შეიძლება იქნეს მიღებული სამანდატო დროებითი კომისიის მიერ წარმოდგენილ ერთიან სიაზე. თუ საკრებულოს განკარგულება ახალარჩეული საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობაზე მიღებული

იქნა ერთიანი სიით, სიაში არ შეიტანება იმ პირის გვარი, რომლის არჩევის კანონიერება გასაჩივრებულია სასამართლოში. ამ პირის უფლებამოსილების ცნობის საკითხს, საკრებულო მიიღებს ცნობის სახით, თუ სასამართლომ იგი არჩეულად გამოაცხადა.

ახლარჩეული საკრებულოს პირველი მორიგი სხდომა შემდგარად ჩაითვლება, თუ საკრებულოს მიერ ცნობილი იქნა საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება. თუ საკრებულოს წევრთა რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილება ცნო საკრებულომ, საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის 2/3-ზე ნაკლებია, საკრებულოს სხდომა წყდება და იგი განახლება შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მონვევით იმ დღიდან 10 დღის ვადაში, როდესაც შემადგენელი გახდება საკრებულოს წინაშე იმდენი პირის უფლებამოსილების ცნობის საკითხის დასმა, რამდენიც საკმარისია საკრებულოს სრული შემადგენლობის ორი მესამედის შესავსებად. თუ ამ ვადაში ვერ მოხერხდა საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის 2/3-ის უფლებამოსილების ცნობა, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ინიშნება ხელახალი არჩევნები „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი წესით.

საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის შემდეგ, საკრებულომ უნდა განიხილოს საკითხები შემდეგი თანამიმდევრობით:

- საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა;
- საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;
- ცნობად მიღება საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების შესახებ;
- საკრებულოს რეგლამენტის მიღება (ან ცვლილების შეტანა);
- საკრებულოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების არჩევა.

საკრებულოს უფლებამოსილების ცნობიდან საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე საკრებულოს სხდომაზე შესაძლოა მოხდეს მხოლოდ საკრებულოს ფრაქციების დაფუძნება და რეგისტრაცია. საკრებულომ სხვა საკითხს ვერ განიხილავს. იმ შემთხვევაში თუ საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის საკითხი გაჭიანურდა და საკრებულოს თავმჯდომარის ხელახალმა კენჭისყრამაც ვერ გამოავლინა გამარჯვებული, საკრებულოს სხდომა უნდა გადაიდოს, სასურველია, არა უმეტეს ერთი კვირით. სხდომის უფრო ხანგრძლივი ვადით გადადება არ იქნება მიზანშეწონილი, რადგან საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე საკრებულო, პრაქტიკულად, არაუფლებფუნარია.

საკრებულო, საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შემდეგ იხილავს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის საკითხს. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარეს. საკრებულოს თავმჯდომარეს უფლება

აქვს მოითხოვოს ამ საკითხის გადადება რამდენიმე ხნით ან საკრებულოს შემდეგი მორიგი სხდომისათვის. საკრებულოს თავმჯდომარის ეს მოთხოვნა საკრებულომ შეიძლება მიიღოს მხოლოდ ცნობის სახით კენჭისყრის გარეშე. ამ საკითხზე მსჯელობა ან კენჭისყრა არ შეიძლება გაიმართოს, რადგან თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელება მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარის პრეროგატივაა.

საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეთა არჩევა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რადგან კომისიის თავმჯდომარეთა არჩევა განაპირობებს საკრებულოს ბიუროს ფორმირებას. მაგრამ, გამომდინარე იქედან, რომ საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეთა არჩევა ხდება საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული საკრებულოს მუდმივი კომისიების მიხედვით, უპირველესად აუცილებელი იქნება საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცება. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიღებამ მნიშვნელოვნად შეცვალა როგორც თვითმმართველობის ორგანოთა ინსტიტუციური მოწყობა, ასევე თავად საკრებულოს უფლებამოსილებები. ამიტომ, საკრებულოს ძველი დებულება (რეგლამენტი) აუცილებლად იქნება შესაცვლელი (დოკუმენტის დასახელებაც აღარ შეესაბამება კოდექსით დადგენილ სათაურს). შესაბამისად, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეების არჩევამდე საჭიროა საკრებულოს ახალი რეგლამენტის მიღება. ცხადია, საკრებულოს რეგლამენტის მომზადება, განხილვა და მიღება დაჩქარებული წესით არ არის მიზანშეწონილი, რადგან რეგლამენტი წარმოადგენს საკრებულოს მუშაობის ძირითად დოკუმენტს. გამოსავალი შეიძლება იყოს ის, რომ ახლადარჩეულმა საკრებულომ მხოლოდ ცვლილება შეიტანოს მოქმედი საკრებულოს დებულებაში (რეგლამენტში), შეცვალოს მისი დასახელება და ის ნაწილი, რომელიც შეეხება საკრებულოს მუდმივ კომისიათა ჩამონათვალს. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი გახდება პირველივე სხდომაზე მოხდეს საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეების არჩევა, რაც უზრუნველყოფს საკრებულოს ბიუროს ფორმირებას, საკრებულოს კომისიათა ჩამოყალიბებას და საშუალებას მისცემს საკრებულოს მომდევნო სხდომებისათვის მოამზადოს და მიიღოს საკრებულოს ახალი რეგლამენტი.

საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეების არჩევის შემდეგ, საკრებულოს პირველი სხდომა საკრებულოს თავმჯდომარის მიერ შეიძლება დახურულად (დასრულებულად) გამოცხადდეს. ამის შემდეგ საკრებულოს შემდგომ მორიგ სხდომაზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს საკრებულოს კომისიებში, რომელთა უპირველესი მოვალეობაა შეადგინონ კომისიათა დებულებები და სამუშაო გეგმები. კომისიათა სამუშაო გეგმების გათვალისწინებით საკრებულოს ბიურომ უნდა მოამზადოს და საკრებულოს შემდგომ მორიგ სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინოს საკრებულოს სამუშაო გეგმა.

საკრებულოს ორგანიზაციული სტრუქტურა

საქართველოს კანონმდებლობა, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის შესაბამისად, საკრებულოს აძლევს გარკვეულ თავისუფლებას, თავად განსაზღვროს და ადგილობრივ პირობებს მიუსადაგოს თვითმმართველობის ორგანოთა ადმინისტრაციული სტრუქტურები. კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვეყოთ საკრებულოს ორი ტიპის ინსტიტუცია:

- 1) სავალდებულო - რომლის შექმნაც განპირობებულია კანონის მოთხოვნით;
- 2) არასავალდებულო - რომლის შექმნაც არ არის აუცილებელი და დამოკიდებულია რეალურ საჭიროებაზე.
საკრებულოში სავალდებულო ორგანოებს განეკუთვნება:
 - ა) საკრებულოს ბიურო;
 - ბ) საკრებულოს მუდმივი კომისიები;
 - გ) საკრებულოს აპარატი.

საკრებულოს ბიურო იქმნება თანამდებობრივი პრინციპით და მის შემადგენლობაში თანამდებობრივად შედიან: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები და საკრებულოს ფრაქციათა ხელმძღვანელები. კანონით დადგენილია საკრებულოს ბიუროს როგორც შემადგენლობა (მაგრამ არა რაოდენობა, რადგან საკრებულოს ბიუროს ნევრთა რაოდენობა დამოკიდებულია საკრებულოში მუდმივი კომისიებისა და ფრაქციების რაოდენობაზე), ისე საკრებულოს ბიუროს ფუნქციები:

- საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის, საკრებულოს სამუშაო გეგმისა და სამუშაო პროგრამის პროექტების შედგენა;
- საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობის კოორდინაცია;
- საკრებულოს სხდომაზე გასატანი სამართლებრივი აქტების პროექტებზე საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების დასკვნებისა და წინადადებების განხილვა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირთა ანგარიშების მოსმენა.

მართალია, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მოცემულია ბიუროს ძირითადი ჩარჩო (შემადგენლობა და ფუნქციები), თუმცა იმავე კანონით, ბიურო უფლებამოსილია განახორციელოს საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი სხვა ე.წ. დამატებითი უფლებამოსილებებიც, რომელიც უკავშირდება საკრებულოს მუშაობის ორგანიზების საკითხებს. ასეთი საკითხები შეიძლება იყოს:

- საკრებულოს მორიგი სხდომის ჩატარების განრიგის პროექტის მომზადება, რომლითაც განისაზღვრება, თუ რამდენი დღე გაგრძელდება საკრებულოს სხდომები და როგორი იქნება სხდომის დღეების თანამიმდევრობა;
- საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების სამუშაო გეგმების დამტკიცება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კომისიებში განსახილველი საკითხების საერთო კოორდინაცია და გამოირიცხოს დუბლირება;
- გადაწყვეტილების მიღება საკრებულოში ინიცირებული სამართლებრივი აქტის პროექტის გამოქვეყნების, პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებსა და გამგეობაში (მერიაში) დაგზავნის, სამართლებრივი აქტის პროექტზე ძირითადი კომისიის (ან კომისიების) განსაზღვრის, პროექტის განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის სავარაუდო თარიღის შესახებ.

საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებთან დაკავშირებით კოდექსი ადგენს კომისიათა საერთო მიზნებს. ესენია: საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადება, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობა, გამგეობის/მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლი. კოდექსით დაწესებულია მუდმივ კომისიათა ზღვრული რაოდენობა - საკრებულოს მუდმივ კომისიათა რაოდენობა არ უნდა იყოს ხუთზე მეტი. ამდენად, კოდექსი საკრებულოს საშუალებას აძლევს, ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, თავად განსაზღვროს საკრებულოს მუდმივ კომისიათა რაოდენობა, მოახდინოს კომისიებს შორის საქმიანობის სფეროების განაწილება და მათი მუშაობის ორგანიზაცია. საკრებულოს მიერ ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა აისახოს როგორც საკრებულოს რეგლამენტში, ისე კომისიების დებულებებში, რომელთაც ამტკიცებს საკრებულო.

რაც შეეხება საკრებულოს აპარატს, იგი წარმოადგენს არა საკრებულოს, არამედ საკრებულოს დამხმარე ორგანოს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საკრებულოს მუშაობის ორგანიზაციული მხარე. განსხვავებით საკრებულოს ორგანოებისაგან, საკრებულოს აპარატი შედგება თვითმმართველობის მოხელეებისაგან, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოში არასავალდებულო ინსტიტუციებთან მიმართებით, კანონი მიუთითებს:

- ა) საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფზე;
- ბ) საკრებულოს ფრაქციაზე.

დროებითი სამუშაო ჯგუფი იქმნება საჭიროების შემთხვევაში ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით. ჯგუფის წევრებს და თავმჯდომარეს სამუშაო

ჯგუფის უფლებამოსილების ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, თავისი შემადგენლობიდან ირჩევს საკრებულო.

პრაქტიკაში შეიძლება არსებობდეს ორი ტიპის დროებითი სამუშაო ჯგუფი:

- 1) დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც იქმნება საკრებულოს უფლებამოსილებას განკუთვნილი კონკრეტული საკითხის სპეციალური შესწავლის მიზნით;
- 2) დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც იქმნება საკრებულოს მიერ განსახილველ საკითხზე წარმომოხილ აზრთა სხვადასხვაობის აღმოფხვრისა და პოზიციების შეჯვრების მიზნით.

პირველი ტიპის სამუშაო ჯგუფის შექმნის საჭიროება დგება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული საკითხი არ ეტევა საკრებულოს ერთი რომელიმე კომისიის უფლებამოსილების ჩარჩოში და მოითხოვს საკრებულოს სხვადასხვა კომისიის ჩართვით საკითხის კომპლექსურ შესწავლას. ანდაც, საკითხის შესწავლის ფორმა განსხვავებულია კომისიების მუშაობის ჩვეულებრივი ფორმიდან და მოითხოვს შესაბამისი სპეციალისტების მონაწილას.

მეორე ტიპის სამუშაო ჯგუფის შექმნის საჭიროება დგება საკრებულოს მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე აზრთა სხვადასხვაობის წარმომოხილას, როცა საკრებულოს სხდომაზე შეუძლებელი ხდება ერთიან პოზიციამდე შეჯერება, რაც აფერხებს გადაწყვეტილების მიღებას.

დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისას, საკრებულო თავად ადგენს მის მიზანს. ხოლო, რაც შეეხება ჯგუფის მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებს, ისინი განისაზღვრება სამუშაო ჯგუფის დებულებითა და გეგმით, რომლებსაც ამტკიცებს საკრებულოს ბიურო.

საკრებულოს ფრაქცია, ასევე, წარმოადგენს საკრებულოს არასავალდებულო ინსტიტუციას, მაგრამ, მისი შექმნა დამოკიდებულია არა საკრებულოს, არამედ საკრებულოს წევრთა ნებაზე. მიუხედავად ასეთი სპეციფიკისა, ფრაქციის შესაქმნელად საჭიროა საკრებულოს წევრთა ნება შესაბამისობაში მოდიოდეს კანონის მოთხოვნებთან. კერძოდ:

- ა) ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს სამზე ნაკლები;
- ბ) საკრებულოს წევრი შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ 1 ფრაქციაში;
- გ) ერთი და იმავე პოლიტიკური პარტიის წევრებს უფლება აქვთ, გაერთიანდნენ მხოლოდ ერთსა და იმავე ფრაქციაში (ასეთი ფრაქცია შეიძლება შექმნან ორი ან მეტი პარტიის წევრებმაც). საარჩევნო ბლოკის წარდგენით არჩეულ უპარტიო მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება აქვს, გაერთიანდეს მხოლოდ ამ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიების მიერ შექმნილ ერთ-ერთ ფრაქციაში. არჩევნებში მონაწილე პარტიის წარდგენით არჩეულ უპარტიო მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება აქვს, გაერთიანდეს ფრაქციაში მხოლოდ ამ პარტიის წევრებთან ერთად.

დ) დაუშვებელია ფრაქციებად გაერთიანება ეროვნული, ტერიტორიული ან სხვა კერძო (რელიგიური, პროფესიული და ა.შ.) ნიშნით.

კანონის თანახმად, ფრაქციის მუშაობის ორგანიზაციის საკითხები განისაზღვრება ფრაქციის წესდებით, რომელსაც თავად ამტკიცებს ფრაქცია. რაც შეეხება ფრაქციის უფლებამოსილებას, კანონი მიუთითებს მხოლოდ ორ საკითხზე:

ა) ფრაქცია უფლებამოსილია მოითხოვოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;

ბ) ფრაქცია უფლებამოსილია საკრებულოს ყველა მუდმივ კომისიაში წარმოდგენილი იყოს მისი წევრების რაოდენობის პროპორციულად.

კანონი საკრებულოში სხვა არასავალდებულო ინსტიტუციაზე მითითებას არ აკეთებს, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ საკრებულოს არ გააჩნია უფლებამოსილება შექმნას სხვა სტრუქტურები კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, თვითმმართველობის განხორციელების ხელშესაწყობად. ასეთი ინსტიტუციები, როგორც წესი, დროებითი ხასიათისაა, იქმნება არა უმეტეს საკრებულოს უფლებამოსილების ვადით და შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ საკონსულტაციო-სათათბირო ან დამხმარე (მაგ., საექსპერტო, მაკოორდინირებელი) ფუნქციები.

მაგალითად, ასეთი ინსტიტუცია შეიძლება იყოს საკრებულოს საზოგადოებრივი დარბაზი, რომლის შექმნის მიზანი იქნება საკრებულოს მუდმივი კავშირის ქონა საზოგადოების ყველაზე აქტიურ ჯგუფებთან (მაგ, თვითმმართველ ერთეულში მოქმედ სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან) და იმ წრეებთან, რომლებთანაც მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული თვითმმართველი ერთეულის ეკონომიკური განვითარება (სამეწარმეო სუბიექტები). საზოგადოებრივი დარბაზი, რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს მხოლოდ საკონსულტაციო სახის ორგანო, რომლის უფლებამოსილებას შეიძლება განეკუთვნოს:

- საკრებულოს სამუშაო გეგმისა და საკრებულოს ან/და საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგის პროექტების წინასწარი განხილვა; განხილულ პროექტებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების და რეკომენდაციების გამოთქმა;
- საკრებულოს ან/და საკრებულოს ბიუროსათვის დღის წესრიგში ცალკეული საკითხების შეთავაზება;
- საკრებულოს სხდომაზე განსახილველი ნორმატიული აქტების პროექტების წინასწარი განხილვა და მოსაზრებების გამოთქმა;
- საკრებულოს ბიუროსა და საზოგადოებრივი დარბაზის ერთობლივი სხდომის ჩატარება სპეციალური დღის წესრიგით;
- თვითმმართველ ერთეულში არსებული პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ წინადადებების მომზადება, განხილვა და საკრებულოსთვის ან/და გამგებლისათვის/მერისთვის წარდგენა;

- ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების ანგარიშების მოსმენა;
- თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის გამოკითხვებისა და საზოგადოებრივი განხილვების ჩატარების ორგანიზებაში მონაწილეობა.

გარდა საკრებულოსი, საკონსულტაციო ტიპის ორგანო შეიძლება შექმნას საკრებულოს მუდმივმა კომისიამ საკონსულტაციო საბჭოს სახით, რომელშიც მოიწვევიან შესაბამისი დარგის კომპეტენტური, სათანადო გამოცდილების მქონე ექსპერტ-კონსულტანტები. საკონსულტაციო საბჭოს ფუნქცია შეიძლება იყოს კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხების წინასწარი განხილვა, შესაბამის რეკომენდაციებისა და წინადადებების შეიმუშავება, კომისიის სხდომაზე განსახილველ საკითხზე პროფესიული მოსაზრებების შევჯერება.

არასავალდებულო ინსტიტუცია შეიძლება შექმნან საკრებულოს ფრაქციებმაც ფრაქციათა კოალიციის სახით ცალკეულ საკითხზე მუშაობის კოორდინაციის მიზნით.

საკრებულოს კომისიები

საკრებულოს ეფექტური ფუნქციონირების ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია საკრებულოს კომისიები. სწორედ, კომისიების აქტიურობასა და გამართულ მუშაობაზეა მნიშვნელოვნად დამოკიდებული საკრებულოს მიერ საკუთარი უფლებამოსილებების ეფექტიანი განხორციელება. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, „საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, გამგეობის/მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით იქმნება არა უმეტეს 5 კომისიისა“. ამდენად, კანონით განსაზღვრულია საკრებულოს კომისიების შექმნისა და საქმიანობის ძირითადი მიზნები:

- საკრებულოს მიერ მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხების წინასწარი მომზადება;
- საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობა;
- თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობაზე კონტროლი.

კომისიის ამ მიზნებიდან გამომდინარე შეგვიძლია განვსაზღვროთ კომისიების საქმიანობის სამი ძირითადი ფორმა:

- 1) საკრებულოს მიერ მისაღებ გადაწყვეტილებათა ინიცირება;
- 2) საკრებულოს გადაწყვეტილებების განხორციელების ხელშეწყობა;
- 3) კონტროლი.

საკრებულოს კომისიები, როგორც წესი, იქმნება სფეროების მიხედვით. მაგალითად, საბიუჯეტო-საფინანსო კომისია, სოციალურ საკითხთა კომისია, ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისია და ა.შ.

საკრებულოს კომისია უნდა იყოს შესაბამის სფეროში გასატარებელი პოლიტიკის განსაზღვრის, გასატარებელ ღონისძიებათა დაგეგმვის, განხორციელების მიმდინარეობაზე კონტროლის და შეფასების წარმმართველი რგოლი. საკრებულო ვერ შეძლებს თავის ფუნქციების შესრულებას თუ საკრებულოს კომისიები დარჩებიან ფორმალურ ორგანოებად.

კომისიების არადაამაკმაყოფილებელი მუშაობის ძირითად მიზეზად ხშირად სახელდება კომისიის რიგით წევრთა საზოგადოებრივ სანყისებზე, უსასყიდლოდ მუშაობის სპეციფიკა, რის გამოც არარეგულარული და ხშირ შემთხვევაში იშვიათიცაა კომისიის სხდომების ჩატარება. მაგრამ, კომისიის საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სხდომების მონვევით. უფრო მეტიც, ძირითადი დატვირთვა და სამუშაოთა ძირითადი მოცულობა სწორედ კომისიის სხდომებს შორის პერიოდზე მოდის. კომისიის სხდომამ მხოლოდ განეული სამუშაო უნდა შეაფასოს და შეიმუშაოს დასკვნები და რეკომენდაციები (რომელთა პროექტებიც ასევე წინასწარ მზადდება). ამ სამუშაოთა ორგანიზება და შესრულება კი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობაა, რისთვისაც იღებს ანაზღაურებას. კომისიის თავმჯდომარემ, საკრებულოს აპარატის დახმარებით, გამგეობის/მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად, კომისიაში მონვეული სპეციალისტების მონაწილეობით, უნდა მოამზადოს კომისიის, ხოლო შემდეგ, საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გასატანი საკითხები.

კომისიის უმთავრესი ფუნქციაა იყოს შესაბამის სფეროში საკრებულოს მიერ მისაღები გადაწყვეტილების ინიციატორი. ამ ფუნქციის განსახორციელებლად საჭიროა:

- შესაბამის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაციის ფლობა;
- შესაბამის სფეროში არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი სისტემიზაცია;
- შესაბამის სფეროში არსებული პრობლემების ურთიერთკავშირის დადგენა და ძირითადი, პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრა;
- პრიორიტეტული პრობლემების გადაწყვეტის ალტერნატიული გზების შეფასება და ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა;
- სამართლებრივი აქტის პროექტის ან პროექტზე დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- საკრებულოს სხდომაზე კომისიის პოზიციის წარმოჩენა და დაცვა.

როგორც ჩამონათვალი აჩვენებს, კომისიის მიერ ამ, უმთავრესი, ფუნქციის შესრულება ძირითადად დაკავშირებულია გამგეობის/მერიის შესაბა-

მის სამსახურებზე და ნაკლებადაა დამოკიდებული (თუმცა არ გამოირიცხავს) კომისიის წევრის მონაწილეობასა და აქტიურობაზე. ამიტომ, კონკრეტულ კომისიასა და გამგეობის/მერიის შესაბამისი სფეროს სამსახურებს შორის პარტნიორული, სისტემატიური კავშირის ჩამოყალიბება, რაც კომისიის თავმჯდომარის მოვალეობაა, განაპირობებს საკრებულოს კომისიის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების ჯეროვან განხორციელებას.

გასათვალისწინებელია, რომ საკრებულოს კომისია, როგორც ინიციატორი, უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ პროფესიულ რჩევებს, არამედ უნდა გამოდიოდეს მოსახლეობის ინტერესებიდან. ამიტომ, შესაბამისი სფეროში გასატარებელი პოლიტიკის განსაზღვრისა და გასატარებელ ღონისძიებათა დაგეგმვის პროცესში საჭიროა ჩართული იქნეს როგორც სპეციალისტები (როგორც გამგეობიდან/მერიიდან, ისე მონვეული ექსპერტები), ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოქალაქეები. ამ ჩართულობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმი შეიძლება იყოს საკრებულოს კომისიის მიერ კომისიასთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს შექმნა, რომელშიც გაერთიანდებიან თვითმმართველობის ორგანოს გარეთ არსებული ყველა დაინტერესებული პირები თუ პირთა ჯგუფები. ჩართულობის უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა კომისიის საქმიანობის პერიოდული გაშუქება და მოსახლეობისათვის სისტემატიურად ინფორმაციის მიწოდება კომისიის მუშაობის, კომისიის მიერ განსახილველი საკითხებისა და მათი გადაწყვეტის შესაძლო გზების შესახებ.

საკრებულოს კომისიის საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ შესაბამისი სფეროში საკრებულოს გადაწყვეტილებების პროექტის ან ამ პროექტებზე დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებით. კომისიის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა თვალყურს ადევნოს მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელების პროცესს, მოახდინოს ამ პროცესის ანალიზი, გამოავლინოს აღსრულების შემაფერხებელი გარემოებები და საჭიროების შემთხვევაში, მოამზადოს დასკვნები და რეკომენდაციები ახალი გადაწყვეტილების მიღების, გადაწყვეტილების ან გადაწყვეტილების აღსრულების პროცესის კორექტირების შესახებ.

კომისიის საქმიანობის ეს მიმართულება, ძირითადად, დაკავშირებულია კომისიის თავმჯდომარის სისტემატიურ ურთიერთობაზე გამგეობის/მერიის შესაბამისი სამსახურთან, თუმცა, ამ პროცესში ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია კომისიის წევრების, მოცემული სფეროს სპეციალისტების და მოსახლეობის მონაწილეობაც. კომისია, წინასწარ დადგენილი გრაფიკის მიხედვით უნდა ისმენდეს გამგეობის/მერიის შესაბამისი სამსახურის პერიოდულ ანგარიშს საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილების აღსრულების მიმდინარეობის შესახებ და ახდენდეს მის შეფასებას; ავლენდეს აღსრულების ხელშემშლელ გარემოებებს და შეიმუშავებდეს რეკომენდაციებს მათ აღმო-საფხვრელად.

თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაზე კონტროლი წარმოადგენს საკრებულოს კომისიის საქმიანობის კიდევ ერთ ძირითად ფუნქციას. კონტროლის განხორციელების ფორმის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ საკრებულოს კომისია, ისევე როგორც მთლიანად საკრებულო, არ იქმნება პროფესიული ნიშნის მიხედვით. ამიტომ, კონტროლის ფორმაც და შეფასებაც არა პროფესიული, არამედ პოლიტიკური ხასიათისაა. კომისიის მიერ თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ან მისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის შეფასებისას განმსაზღვრელი კრიტერიუმია არა ის, თუ რამდენად პროფესიულად ასრულებენ ეს სტრუქტურები საკუთარ ფუნქციებს, არამედ როგორია მათ მიერ შესრულებულ სამუშაოზე მოსახლეობის განწყობა. ამიტომაც, კომისიის მიერ კონტროლის ფუნქციის განხორციელებისას გადამწყვეტი როლი აქვს კომისიის წევრებისა და მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას.

კომისიის მიერ კონტროლის განხორციელება იფარგლება აღმასრულებელი სტრუქტურებიდან ინფორმაციის მიღებით და ანგარიშების მოსმენით. იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობა, ძალზედ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი კონტროლის ფორმების გამოყენება. ამ მიზნით, საკრებულოს კომისიას მუდმივად უნდა ქონდეს კავშირი მოსახლეობასთან საიდანაც უნდა იღებდეს ინფორმაციას თუ როგორ აფასებს მოსახლეობა განუვლ საქმიანობას. მოსახლეობისგან ინფორმაციის მიღების საშუალებებია:

- მოქალაქეთა პერიოდული მიღება;
- მოქალაქეებთან პერიოდული შეხვედრები;
- მოქალაქეთა საერთო კრებების ჩატარება და მათში მონაწილეობა;
- მოქალაქეთა გამოკითხვა;
- მოქალაქეთა მონაწილეობა კომისიის სხდომებში;
- კომისიის საკონსულტაციო საბჭოს სხდომები.

ინფორმაციის მიღების აღნიშნული საშუალებების გამოყენებით კომისიას საშუალება ეძლევა დაადგინოს წარმოდგენილ ანგარიშსა და მიღებულ ინფორმაციას შორის შესაბამისობა და რაც მთავარია, შეაფასოს თუ რამდენად შეესატყვისება აღმასრულებელი ორგანოს თუ მისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობა მოსახლეობის ინტერესებს. კომისიის მიერ კონტროლისა და საქმიანობის შეფასების ასეთი ფორმა ავალდებულებს და, შეიძლება ითქვას, აიძულებს აღმასრულებელ ორგანოს და მის სტრუქტურულ ერთეულებს რაც შეიძლება მჭიდროდ ითანამშრომლონ საკრებულოს კომისიებთან, მიაწოდონ სრული და დეტალური ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ, მიიღონ მონაწილეობა

შესაბამის სფეროში გასატარებელ ღონისძიებათა დაგეგმვაში, წინასწარ შეათანხმონ გადაწყვეტილებათა აღსრულების ფორმები, მეთოდები და ვადები, წინასწარ განსაზღვრონ და კომისიას გააცნონ მიღებული გადაწყვეტილების ყველა შესაძლო შედეგი და რისკფაქტორები.

საკრებულოს თანამდებობის პირები

1. საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულო. საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის საკრებულოს არანაკლებ 3 წევრს. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა ხდება ფარული კენჭისყრით. საკრებულოს, ნებისმიერ დროს, უფლება აქვს თანამდებობიდან გადააყენოს საკრებულოს თავმჯდომარე. საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი საკრებულოს წინაშე შეიძლება წერილობით დასვას საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთმა მესამედმა. საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილებები ახალი თვითმმართველობის კოდექსით გარკვეულწილად შეზღუდულია. საკრებულოს თავმჯდომარე აღარ წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის მთავარ თანამდებობის პირს და მისი ფუნქციები შემოიფარგლება საკრებულოს მუშაობის ორგანიზაციულ ხელმძღვანელობითა და საკრებულოს სხდომების წარმართვით.

საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციული ხელმძღვანელობა მოიცავს საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკრებულოს წევრების, კომისიების, საკრებულოს ბიუროს, აპარატის საქმიანობის კოორდინაციას. ამ მიმართულებით საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილებებია:

- საკრებულოს მუშაობის გაძლიერება, საკრებულოს კომისიების, დროებითი სამუშაო ჯგუფების, საკრებულოს აპარატისა და საკრებულოს თანამდებობის პირთა საქმიანობის ხელმძღვანელობა;
- საკრებულოს ბიუროს სხდომის მოწვევა და თავმჯდომარეობა;
- საკრებულოს კომისიების მუშაობის კოორდინაცია;
- საკრებულოს წევრთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა;
- საკრებულოს წევრთა მიერ საქართველოს კანონმდებლობითა და საკრე-

ბულოს რეგლამენტით დადგენილი მოვალეობების შესრულების კონტროლი;

- საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეთა წარდგინებით, საკრებულოს კომისიებში ექსპერტებისა და სპეციალისტების მოწვევა; მათთან შრომითი ხელშეკრულებების დადება და გაუქმება; კომისიებში მოწვეულ პირთა საქმიანობის ხელმძღვანელობა;
- საკრებულოს აპარატის უფროსისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეების თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან განთავისუფლება;
- საკრებულოს აპარატის შინაგანანგის და თანამდებობრივ ინსტრუქციათა დამტკიცება;
- საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა ნახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება;
- საკრებულოს რეგლამენტის, საკრებულოს აპარატის დებულების, საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეების წარდგინებით საკრებულოს კომისიათა დებულებების საკრებულოში დასამტკიცებლად წარდგენა;
- შესრულებული სამუშაოს შესახებ საკრებულოსათვის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა
- გადაწყვეტილების მიღება საკრებულოში პირის ლობისტად რეგისტრაციის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარის, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოს სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილებების განხორციელება გულისხმობს საკრებულოს და საკრებულოს ბიუროს სხდომების წარმართვას. ეს უფლებამოსილება საკრებულოს თავმჯდომარის მიერ შეიძლება დელეგირებულ იქნეს მის მოადგილეზე, ხოლო მოადგილის არყოფნის შემთხვევაში, სხდომაზე დამსწრე უხუცეს (ასაკით უფროს) წევრზე.

2. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით, თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულო. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, „საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს მის მოვალეობას საკრებულოს თავმჯდომარის არყოფნისას, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას ან გადაყენებისას“. ამრიგად, კოდექსი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს აკისრებს ერთადერთ სპეციალურ უფლება-

მოსილებას – შეასრულოს საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობები მისი არყოფნის, უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, თანამდებობიდან გადადგომის, ან გადაყენების შემთხვევაში.

მაგრამ, კანონის ეს ჩანაწერი სულაც არ ნიშნავს, რომ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს არ შეიძლება გააჩნდეს რეგულარული უფლებამოსილებები. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე არის საკრებულოს თანამდებობის პირი, რომელიც თავის უფლებამოსილების განსახორციელებლად ვალდებულია შეწყვიტოს სხვა სამსახურეობრივი საქმიანობა. ამასთან, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურე, იგი იღებს ანაზღაურებას. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ აკეთებს სპეციალურ მითითებას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილებებზე, ისინი უნდა გაიწეროს საკრებულოს რეგლამენტში.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილებების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ თავმჯდომარის მოადგილეს არ შეიძლება დაეკისროს ის უფლებამოსილება, რომელიც კანონით სხვა თანამდებობის პირის რეგულარულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. კანონით დადგენილი უფლებამოსილების დელეგირება სხვა თანამდებობის პირზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს საკითხი კანონითვე არის დასაშვები.

საკრებულოს რეგლამენტით, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის რეგულარულ უფლებამოსილებად შეიძლება განისაზღვროს:

- საკრებულოს ბიუროს სხდომების მომზადების ორგანიზება;
- საკრებულოს კომისიების მუშაობის კოორდინაცია; საკრებულოს კომისიებსა და გამგეობის (მერიის) შესაბამის სამსახურებს შორის ურთიერთობის კოორდინაცია;
- საკრებულოს აპარატის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა, საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს აპარატის მუშაობის კოორდინაცია;
- საკრებულოსა და მოსახლეობას შორის ურთიერთკავშირის ხელშეწყობა და კოორდინაცია.

3. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე

საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ირჩევს მუნიციპალიტეტის საკრებულო. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემად-

გენლობის ერთ მეზუთედსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციას. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის ძირითადი უფლებამოსილებები მოცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, რომლის თანახმად, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე:

- ა) ინვესს, ხსნის, თავმჯდომარეობს და წარმართავს კომისიის სხდომებს;
- ბ) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალიტეტის კომისიის დებულებით დადგენილი პროცედურების დაცვას;
- გ) ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტს, განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის დებულებით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;
- დ) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;
- ე) ხელს აწერს კომისიის სხდომების ოქმებს;
- ვ) მოქმედებს კომისიის სახელით;
- ზ) ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე;
- თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

როგორც ვხედავთ, კანონით დადგენილი კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილებები ძირითადად დაკავშირებულია კომისიის სხდომასთან, მაგრამ კომისიის თავმჯდომარის საქმიანობის უმეტესი ნაწილი უნდა ეთმობოდეს სწორედ სხდომებს შორის პერიოდს. კომისიის საქმიანობა უმთავრესად კომისიის თავმჯდომარის იმ მუშაობაზეა დამოკიდებული, რომელიც მიმდინარეობს სხდომებს შორის პერიოდში. ამიტომ, საჭიროა საკრებულოს რეგლამენტსა და კომისიის დებულებებში რაც შეიძლება დეტალურად გაინეროს კომისიის თავმჯდომარის საქმიანობის მიმართულებები და შესაბამისი უფლებამოსილებები.

საკრებულოს წევრის სტატუსი

საკრებულოს წევრი არის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევითი საჯარო მოსამსახურე. პირის საკრებულოს წევრად არჩევის საკითხი რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“, რომლის თანახმად, „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი. საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რო-

მელსაც საქართველოში მუდმივად უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში, მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც.”

საკრებულოს წევრი არის თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობის წარმომადგენელი. მისი სტატუსის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულებაა, კანონის ჩანაწერი რომ „საკრებულოს წევრი სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი განვევა დაუშვებელია. თავისი მოვალეობების შესრულებისას საკრებულოს წევრი შეზღუდული არ არის ამომრჩევლებისა და მისი წარმდგენი პოლიტიკური გაერთიანების განაწესებითა და დავალებით“. ეს საკითხი საკრებულოს წევრის საქმიანობის დამოუკიდებლობის გარანტიაა, რის გამოც, მეტად მნიშვნელოვანია. არავის აქვს უფლება ჩაერიოს საკრებულოს წევრის მიერ მისი უფლებამოსილებების განხორციელებაში. ამომრჩეველს და საკრებულოს წევრის წარმდგენ პარტიას არა აქვთ უფლება საკრებულოს წევრს მისცეს სავალდებულო ხასიათის მითითებები. საკრებულოს წევრი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და მან საკრებულოს წევრის უფლებამოსილებები უნდა განახორციელოს საკუთარი შეხედულებისამებრ. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ საკრებულოს წევრმა არ უნდა მოუსმინოს ამომრჩევლებს. კოდექსი პირდაპირ მიუთითებს, რომ „თავისუფალი მანდატი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს არ ათავისუფლებს საქართველოს კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით ამომრჩევლებთან მუშაობისა და მასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისგან.“ საკრებულოს წევრი, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის განმსახორციელებელი, ვალდებულია იცნობდეს და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდეს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებით. ამომრჩეველთან მუშაობის წესი, პირველ რიგში, დამოკიდებულია თავად საკრებულოს წევრზე, ამავე დროს აღნიშნული კანონით, საკრებულოს რეგლამენტით უნდა დადგინდეს ის აუცილებელი ფორმები და პერიოდულობა, რომლებიც უნდა დაიცვას საკრებულოს წევრმა ამომრჩევლებთან მუშაობისას. საკრებულოს რეგლამენტით საკრებულოს წევრის ამომრჩევლებთან მუშაობის ფორმები, როგორცაა ამომრჩეველთა მიღება, ამომრჩევლებთან შეხვედრა, ანგარიშგება არის ის მინიმუმი, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად საკრებულოს წევრისათვის. გარდა ამისა დამატებითი მუშაობის ფორმების გამოძებნა არის თავად საკრებულოს წევრზე დამოკიდებული. რაც შეეხება პასუხისმგებლობას, საკრებულოს წევრის მიერ საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობა ძირითადად მხოლოდ მორალურ პასუხისმგებლობას უკავშირდება. ერთადერთი შემთხვევა, რომელსაც ორგანული კანონი გარკვეული სანქციის სახით აწესებს საკრებულოს წევრის მიმართ არის მის მიერ საკრებულოს საქმიანობაში 6 თვის განმავლობაში მონაწილეობის მიუღებლობა. ასეთ შემთხვევაში საკრებულოს წევრს საკრებულოს გადაწყვეტილებით შეიძლება ვადამდე შეუწყდეს უფლებამოსილება.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილება უშუალოდ არის დაკავშირებული მის პიროვნებასთან. იგი არის თვითმმართველობის არჩევითი თანამდებობის პირი, რომელმაც კანონით მინიჭებული უფლებამოსილება უშუალოდ, თავად უნდა განახორციელოს. ორგანული კანონის თანახმად, „დაუშვებელია საკრებულოს წევრის უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა.“ ამ უფლებამოსილებებში იგულისხმება არა მხოლოდ საკრებულოს სხდომებსა თუ კენჭისყრაში მონაწილეობა, არამედ ამომრჩევლებთან მუშაობაც. რა თქმა უნდა, საკრებულოს წევრმა ამომრჩევლებთან შეხვედრებში შეიძლება ჩართოს სხვა პირებიც, რომლებიც დახმარებას გაუწევენ მას, მაგრამ მთავარი ფიგურა უნდა იყოს მხოლოდ საკრებულოს წევრი და მას ეკრძალება ეს უფლებამოსილება გადააბაროს სხვა პირს.

საკრებულოს წევრის უფლებები

საკრებულოს წევრის უფლებები პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

- 1) საკრებულოს წევრის უფლებები საკრებულოში;
- 2) საკრებულოს წევრის უფლებები საკრებულოს გარეთ.

პირველი ჯგუფის უფლებები დაკავშირებულია საკრებულოს წევრის მიერ საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის, საკრებულოს კომისიაში და საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფში მუშაობის საკითხთან. ამ მიმართულებით საკრებულოს წევრს უფლება აქვს:

- მოამზადოს და მოახდინოს საკრებულოს სამართლებრივი აქტების ინიცირება; დასვას საკითხი განსახილველად;
- აირჩიოს, ასევე არჩეული, დანიშნული, ან წარდგენილი იქნეს საკრებულოს მიერ ასარჩევ/დასანიშნ თანამდებობებზე, შევიდეს საკრებულოს კომისიის, დროებითი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში, გაერთიანდეს ფრაქციაში, გადადგეს, ან გამოვიდეს ამ ორგანოებიდან (გაერთიანებებიდან);
- შეიტანოს შენიშვნები და წინადადებები საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ ყველა საკითხზე;
- მონაწილეობა მიიღოს კამათში, შეკითხვა დაუსვას მომხსენებელს, თანამომხსენებელსა და სხდომის თავმჯდომარეს; მიიღოს და შეაფასოს პასუხები;
- გააცნოს საკრებულოს, საკრებულოს კომისიას, საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფს მოქალაქეთა წერილები და მიმართვები;
- კამათში მონაწილეობის მიუღებლობის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარეს გადასცეს თავისი გამოსვლის ტექსტი, აგრეთვე, წერილობით ჩამოყალიბებული წინადადებები და შენიშვნები საკრებუ-

ლოს (საკრებულოს კომისიის) სხდომაზე განსახილველი საკითხების თაობაზე;

- გამოთქვას აზრი საკრებულოს მიერ შესაქმნელი ორგანოების, მათი პერსონალური შემადგენლობისა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომლებსაც ირჩევს ან ნიშნავს, ან რომელთა დანიშვნაზეც თანხმობას იძლევა საკრებულო;
- სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს და საკრებულოს იმ კომისიებისა, თუ დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, რომლის წევრიც ის არ არის.

საკრებულოს წევრის მეორე ჯგუფის უფლებები უკავშირდება საკრებულოს წევრის საქმიანობას საკრებულოს გარეთ. ამ მიმართულებით საკრებულოს წევრს უფლება აქვს:

- კითხვით მიმართოს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, გამგებელს/მერს, სხვა თანამდებობის პირს და მიიღოს პასუხი;
- შეუფერხებლად შეხვდეს საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებს;
- უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა თავის მიერ დასმული საკითხების განხილვაში; მიიღოს და შეაფასოს გაცემული პასუხები;
- ისარგებლოს ნებისმიერი ინფორმაციით (გარდა კანონით დადგენილი საიდუმლო ინფორმაციისა), რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად;
- საკრებულოს აპარატს დადგენილი წესით მოსთხოვოს სათანადო ინფორმაცია და ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფა.

საკრებულოს წევრის მოვალეობები

საკრებულოს წევრი ვალდებულია:

- ა) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და კანონები;
- ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით შეხვდეს მოქალაქეებს;
- გ) მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების მუშაობაში;
- დ) არ გაახმაუროს და პირადი ინტერესებისათვის არ გამოიყენოს ინფორმაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაცულია გასაჯაროებისგან.

საკრებულოს წევრს უფლება არ აქვს, კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი ან მათთან დაკავშირებული შესაძლებლობები გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის. საკრებულოს წევრი ვალდებულია უარი თქვას

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობასა და კენჭისყრაზე, რომლის მიმართაც აქვს პირადი ინტერესი, ან არსებობს სხვა გარემოება, რომელიც გავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე.

საკრებულოს წევრის შრომის ანაზღაურება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, საკრებულოს წევრი თავის საქმიანობას ახორციელებს სამსახურეობრივი საქმიანობისგან მოუწყვეტილად და უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ საკრებულოს თანამდებობის პირების: საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, საკრებულოს კომისიებისა და საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეების საქმიანობა.

კანონში მოცემული მითითება, რომ საკრებულოს წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს უსასყიდლოდ, არ ნიშნავს იმას, რომ საკრებულოს წევრმა ეს უფლებამოსილება საკუთარი ხარჯით უნდა განახორციელოს. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილია: „ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში არჩეული წარმომადგენლების სამსახურის პირობებით უზრუნველყოფილი იქნება მათი ფუნქციების თავისუფალი განხორციელება. ამ პირობებით უზრუნველყოფილი იქნება სასახურეობრივი მოვალეობების განხორციელების დროს განეული ხარჯების შესაბამისი ფინანსური კომპენსაცია, ისევე როგორც, სათანადო შემთხვევებში, კომპენსაცია სახსრების დაკარგვის შემთხვევაში ან შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება და შესაბამისი სოციალური დაცვა.“

საკრებულოს წევრის მიერ უფლებამოსილების განხორციელებიდან გამომდინარე, განეული ხარჯების ანაზღაურების ფორმა და წესი საქართველოს კანონმდებლობით დეტალურად არ არის განსაზღვრული. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მხოლოდ მიუთითებს, რომ „საკრებულოს წევრს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები შეიძლება აუნაზღაურდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით.“ ამდენად, საკრებულომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ქარტიით დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით თავად უნდა მიიღოს დადგენილება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ. საკრებულოს ამ დადგენილებით უნდა განისაზღვროს საკრებულოს წევრის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებიდან გამომდინარე რა ხარჯები შეიძლება იქნეს განეული და როგორ უნდა მოხდეს ამ ხარჯების ანაზღაურება, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამომდინარე, უნდა დაადგინოს ხარჯების სახეობა და ლიმიტი თითოეული სახეობისათვის.

საკრებულოს წევრს, საკრებულოს მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან შეიძლება აუნაზღაურდეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების მიზნით განეული ხარჯები:

- ტრანსპორტით მგზავრობისათვის;
- სასტუმროში ცხოვრების ან საცხოვრებელი ბინის დაქირავებისთვის;
- საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობისათვის;
- საკრებულოში მუშაობის პერიოდისათვის მისი ძირითადი სამუშაოს განაცდურისათვის;
- სამივლინებო ხარჯები.

საკრებულოს წევრის მოქალაქეებთან შეხვედრების (შეხვედრების ორგანიზების, შეხვედრისათვის საჭირო მასალების გამრავლების და სხვ.), საკრებულოს წევრის მიერ თავის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული მასალების მოძიების, ინტერნეტით სარგებლობის, აგრეთვე, კონსულტაციებისა და ექსპერტიზისათვის აუცილებელი ხარჯები გაღებულ უნდა იქნეს საკრებულოს აპარატის მიერ საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე.

ამასთან, ხარჯების ანაზღაურების წესის დადგენისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ როგორც ქართია, ასევე კანონი საკრებულოს წევრისათვის ითვალისწინებს უფლებამოსილებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას და არა საზღაურს უფლებამოსილების შესრულებისათვის. საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს უსასყიდლოდ. ხარჯების ანაზღაურებამ არ შეიძლება მიიღოს ხელფასის სახე და იგი არ შეიძლება უკავშირდებოდეს საკრებულოს წევრის მიერ მისი მოვალეობების კარგად ან ცუდად შესრულებას. სწორედ ამაზე მიუთითებს კოდექსი, როცა ადგენს, რომ „დაუშვებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისთვის ხარჯების ანაზღაურება პრემიებისა და დანამატების სახით.“

საკრებულოს წევრის თანამდებობრივი შეუთავსებლობა

საკრებულოს წევრს უფლება არ აქვს:

- ა) იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;
- ბ) ეკავოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირის თანამდებობა, გარდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობისა;
- გ) ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც პირს ირჩევს, ნიშნავს ან ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი;

- დ) ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც პირს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი ან საქართველოს პრემიერ-მინისტრი;
- ე) ეკავოს თანამდებობა, რომელზედაც პირს ირჩევენ, ნიშნავენ ან ამტკიცებენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები;
- ვ) იმუშაოს საქართველოს სასამართლო ხელისუფლებისა და პროკურატურის ორგანოებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების სისტემაში;
- ზ) იყოს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე;
- თ) იმუშაოს იმ სახელმწიფო ორგანოში, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ზედამხედველობას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს;
- ი) იმუშაოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატსა და გამგეობაში/მერიიაში;
- კ) მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის (მუნიციპალიტეტების) საწარმოს (საწარმოების) მართვაში (იყოს დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სამეთვალყურეო ან დირექტორთა საბჭოს წევრი და სხვა), აგრეთვე იყოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დაფინანსებული დაწესებულების დირექტორი ან დირექტორის მოადგილე;
- ლ) იმუშაოს სხვა ქვეყნის საჯარო სამსახურში.

ანგარიშგება

ანგარიშგება არის საკრებულოს წევრის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება და კანონით დაწესებული ვალდებულება. თვითმმართველობის კოდექსის თანახმად საკრებულოს წევრები ვალდებული არიან წელიწადში ერთხელ მაინც მოაწყონ საჯარო შეხვედრა ამომრჩევლებთან და მათ წარუდგინონ ანგარიში განეული მუშაობის შესახებ, აგრეთვე უპასუხონ ანგარიშის განხილვისას ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. კანონის თანახმად, მოქალაქეებს უფლება აქვთ არა მხოლოდ დაესწრონ ანგარიშის წარდგენას, არამედ დასვან შეკითხვები, მოახდინონ ანგარიშის შეფასება, გამოთქვან შენიშვნები და მისცენ რეკომენდაციები. ამიტომ, საჭიროა ყველა ეს ანგარიში წინასწარ იქნეს გამოქვეყნებული ანგარიშის წარდგენის დროისა და ადგილის მითითებით. გარდა ამისა, ანგარიშის წარდგენა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ განეული მუშაობის შესახებ სტატისტიკით. ანგარიშში, მიღებულ შედეგებთან ერთად, მოცემული უნდა იქნეს მომავალი წლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებიც. ანგარიში უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ იმას, რა გაკეთდა, არამედ იმასაც, თუ რის გაკეთებას გეგმავს მომავალში საკრებულოს წევრი.

2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

საარჩევნო სისტემა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტი არის დასახლება (თვითმმართველი ქალაქი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები, ან დასახლებათა ერთობლიობა (თვითმმართველი თემი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი, ჰყავს არჩევითი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“.

სულ აირჩევა სამოცდათერთმეტი მუნიციპალიტეტის(59 თვითმმართველი თემის და 12 თვითმმართველი ქალაქის) წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი(გამგებელი/მერი) ორგანოები.

საქართველოს კონსტიტუციის და საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნები 2014 წლის 15 ივნისს დაანიშნა.

საკრებულოს არჩევნები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები ტარდება პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების საფუძველზე.

ამომრჩეველს აქვს ერთი ხმის უფლება პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე და ერთი ხმის უფლება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

თვითმმართველი თემის(მუნიციპალიტეტის) საკრებულო შედგება პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისა და შესაბამის უნიციპალიტეტში არსებული ყველა თემიდან და ქალაქიდან, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ერთმანდატიანი ადგილობრივი საარჩევნო ოლქებიდან არჩეული თითო წევრისაგან.

თვითმმართველი ქალაქების(სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 75 000 აღემატება) რუსთავის, ქუთაისის და ბათუმის საკრებულოები შედ-

გება 25 ნევრისაგან, რომელთაგან პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე აირჩევა 15 ნევრი, ხოლო 10 ნევრი აირჩევა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ერთმანდატიანი ადგილობრივი საარჩევნო ოლქებიდან.

თვითმმართველი ქალაქების(სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 75 000 არ აღემატება) ფოთის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ამბროლაურის, ახალციხის, გორის, მცხეთის და თელავის საკრებულოები შედგება 15 ნევრისაგან, რომელთაგან პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე აირჩევა 10 ნევრი, ხოლო 5 ნევრი აირჩევა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ერთმანდატიანი ადგილობრივი საარჩევნო ოლქებიდან.

დედაქალაქ თბილისის საკრებულო შედგება 50 ნევრისაგან, რომელთაგან 25 ნევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო 25 ნევრი – პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე.

სულ ჯამში ყველა მუნიციპალიტეტში აირჩევა 2 088 საკრებულოს ნევრი, აქედან 1 050 პროპორციული სისტემით, ხოლო 1038 მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით, ერთმანდატიანი ადგილობრივი საარჩევნო ოლქებიდან.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებს. თუ არჩევნებში მონაწილე ორმა კანდიდატმა მოაგროვა ხმათა თანაბარი რაოდენობა, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც უფრო ადრე იყო რეგისტრირებული შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება საარჩევნო ოლქში პროპორციული წესით გასანაწილებელი მანდატების რაოდენობაზე და იყოფა იმ პარტიების/საარჩევნო ბლოკების მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამზე, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 4%-ისა. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

თუ საარჩევნო ოლქში პარტიული სიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი მანდატების საერთო რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი, პირველ რიგში, თანამიმდევრობით მიეკუთვნება უკეთესი შედეგის მქონე იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც ვერ მოიპოვეს მანდატი, მაგრამ მიიღეს

არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 4%-ისა. თუ ამის შემდეგ კიდევ დარჩება გაუნაწილებელი მანდატი (მანდატები), თითო მანდატი თანამიმდევრობით მიეკუთვნება იმ პარტიულ სიებს, რომლებსაც ერთი მანდატი მაინც ჰქონდათ მოპოვებული და სხვებზე დიდი ნაშთი აქვთ. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს პარტიას, საარჩევნო ბლოკს, პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა 5-კაციანი საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს (წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მხარდამჭერ ამომრჩეველთა 1 პროცენტის ხელმოწერით), რომელიც რეგისტრირებულია შესაბამის საარჩევნო კომისიაში.

საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი და საქართველოში მუდმივად უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში, მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც.

მერის/გამგებლის არჩევნები

2014 წლის 15 ივნისს საქართველოს მოსახლეობა ირჩევს 12 თვითმმართველი ქალაქის მერს და პირველად 59 თვითმმართველი თემის გამგებელს საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე.

მერად/გამგებლად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს საქართველოში.

მერობის/გამგებლობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვთ, მხოლოდ რეგისტრირებულ პარტიას/საარჩევნო ბლოკს.

არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 50%-ზე მეტს მიიღებს. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენები.

თუ არჩევნებში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ინიშნება არჩევნების მეორე ტური. მეორე ტურში მონაწილეობს 2 კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. თუ ორზე მეტ კანდიდატს ერთნაირი საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა, ან ერთი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მომდევნო რამ-

დენიმი კანდიდატმა თანაბარი რაოდენობის ხმები მიიღო, მეორე ტურში ყველა ეს კანდიდატი მონაწილეობს.

არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მეტი ხმა მიიღო. თუ კანდიდატებმა თანაბარი რაოდენობის ხმები მიიღეს, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო. თუ ხმათა ეს რაოდენობებიც ტოლი აღმოჩნდა, გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით “შესაძლებელია არჩეული გამგებლისათვის /მერისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა, თუ ეს მოითხოვს საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა ან მუნიციპალიტეტის რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 20%-მა და ამ მოთხოვნას მხარი დაუჭიროს საკრებულოს სიითი შემადგენლობის ორმა მესამედმა.“

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში მონაწილეობის გარანტიები

დამსაქმებელს უფლება არა აქვს, შეზღუდოს მასთან მომუშავეს უფლება, მონაწილეობა მიიღოს კანდიდატად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში, გახდეს საკრებულოს წევრი, მერი/ გამგებელი. შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს შეთანხმებას აღნიშნული საფუძვლით დასაქმებულის უფლების შეზღუდვის შესახებ, ბათილია. აკრძალულია ზემოაღნიშნული საფუძვლით პირის სამსახურიდან გათავისუფლება, დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა და სხვაგვარი დისკრიმინაცია.

წინასაარჩევნო კამპანია

წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება არჩევნების დანიშვნის დღიდან.

პოლიტიკურ პარტიას, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს, საარჩევნო სუბიექტს და მათ მხარდამჭერებს უფლება აქვთ, გამოვიდნენ მომავალი საქმიანობის პროგრამით.

საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების და-

ლადობით შეცვლისკენ ან დამხოვისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას.

აგიტაცია

წინასაარჩევნო აგიტაცია არის წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა, წინასაარჩევნო ღონისძიებისას საარჩევნო სუბიექტის/კანდიდატის მხარდასაჭერად ან სანინააღმდეგოდ მიმართული, ამომრჩეველთა აზრის ფორმირების მიზნით განხორციელებული ქმედება (სიტყვით მიმართვა, ტაში, სტვენა, ზეპირი ან წერილობითი მოწოდება), მსვლელობა, მაისურის ან სხვა ატრიბუტის ტარება შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის/კანდიდატის მხარდამჭერი გამოსახლებით.

წინასაარჩევნო აგიტაციის განვეისა და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ:

- } საარჩევნო კომისიების წევრებს;
- } მოსამართლეებს;
- } საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, პროკურატურის, დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საჯარო მოხელეებს;
- } გენერალურ აუდიტორს;
- } საქართველოს სახალხო დამცველს;
- } უცხო ქვეყნის მოქალაქესა და ორგანიზაციას;
- } საქველმოქმედო და რელიგიურ ორგანიზაციებს;
- } სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს - სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურეობრივ ფუნქციებს; (აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტზე, საქართველოს პარლამენტის წევრზე, საქართველოს პრემიერ-მინისტრზე, საქართველოს მთავრობის სხვა წევრებზე და მათ მოადგილეებზე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებზე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რეს-

პუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელებზე, საკრებულოს თავმჯდომარეზე და გამგებელზე, სახელმწიფო რწმუნებულზე – გუბერნატორზე,);

} საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრებს.

შენიშვნა: საარჩევნო სუბიექტის/კანდიდატის მიერ ორგანიზებული აგიტაციისა და კამპანიის (შეკრების) დროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და შეკრების მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილე შინაგან საქმეთა სამინისტროს თითოეული მოსამსახურე ვალდებულია:

- ეცვას დადგენილი ნიმუშის ფორმის ტანსაცმელი;
- იმ შემთხვევაში, თუ სააგიტაციო კამპანია (შეკრება) იმართება შენობის გარეთ, არ მიუახლოვდეს ამგვარი შეკრების მონაწილეებს 5 მეტრის მანძილზე (გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა) და არ დაუშვას შეკრების მონაწილეებთან დაპირისპირებული ძალის მიახლოება;
- იმ შემთხვევაში, თუ სააგიტაციო კამპანია (შეკრება) იმართება შენობაში ან სხვა დახურულ სივრცეში, დაიცვას შენობის მხოლოდ გარე პერიმეტრი და არ დაუშვას შენობაში დაპირისპირებული ძალის შესვლა. ამასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეს კატეგორიულად ეკრძალება ამგვარ შენობაში შესვლა, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

აღნიშნული მოთხოვნების დარღვევით მონაწილეობა, შსს-ს მოსამსახურის მხრიდან, ჩაითვლება წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობად.

წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება იკრძალება შემდეგი დაწესებულებების შენობებში:

- } სასამართლოები;
- } სამხედრო ნაწილები;
- } საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები.

სააგიტაციო მასალა

- } საარჩევნო სუბიექტები (საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები) სარგებლობენ თანასწორი უფლებებით დაამზადონ წინასაარჩევნო მონოდებები, განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტომასალები და სხვა.
- } სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.
- } აკრძალულია სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, საგზაო ნიშნებზე.

ბექდვით სააგიტაციო მასალაზე აღნიშნული უნდა იყოს:

- } დამამზადებელი და დამკვეთი ორგანიზაციების სახელწოდებები, მისამართები;
- } ინფორმაცია მასალის ტირაჟის, რიგითი ნომრისა და გამოშვების თარიღის შესახებ.
- } აკრძალულია ბექდვითი სააგიტაციო მასალის გავრცელება ამ ინფორმაციის მითითების გარეშე.
- } ბექდვით სააგიტაციო მასალაზე რიგითი ნომრის აღნიშვნა საარჩევნო სუბიექტს ევალება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიენიჭება აღნიშნული ნომერი.

აკრძალულია!

- } სააგიტაციო მასალის გავრცელებისთვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე, სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილ სხვა საშუალებათა ჩამორთმევა ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისთვის ხელის შეშლა.
- } დაუშვებელია და კანონით ისჯება სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხვევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ისინი აკრძალულ ადგილებში არ არის განთავსებული.

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა

ადმინისტრაციული რესურსი არის მატერიალური ფასეულობა - ქონება, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესასრულებლად. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირებს ეკრძალებათ შემდეგი სახის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება:

- } სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, დაკავებული შენობების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ სხვა პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს, საარჩევნო სუბიექტებს არა აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა;
- } სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება;
- } სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გამოყენება.

თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა

წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება, რაც გულისხმობს:

- } სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის(პირების, რომლებიც საქმიანობიდან გამომდინარე მატერიალურად ან რაიმე სხვა ფორმით დამოკიდებულნი არიან აღნიშნული

თანამდებობის პირებზე) ჩაბმას ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას;

- } სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვებას და წინასაარჩევნო აგიტაციის განხორციელებას;
- } წინასაარჩევნო აგიტაციის განხორციელებას სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას.
- } შეზღუდვა არ მოქმედებს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული პოლიტიკური თანამდებობის პირებზე, აგრეთვე იმ შემთხვევაზე, როცა ხდება ტელერადიომაუწყებლობის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის გამოყენება.
- } საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადის გასვლიდან კენჭისყრის დღის დამთავრებამდე აკრძალულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, პოლიციისა და პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება, გარდა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა.

ამომრჩევლის მოსყიდვა

არჩევნების დანიშნულებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე საარჩევნო სუბიექტებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს და მათ წარმომადგენლებს ეკრძალებათ პირადად ან ვინმეს მეშვეობით:

- } საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულებისა);
- } შელავათიან ფასად საქონლის მიყიდვა;
- } უფასოდ ნებისმიერი საქონლის (გარდა კანონით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება;
- } საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით (მიუხედავად მათი ღირებულებისა).
- } არჩევნების დანიშნულების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ეკრძალებათ პირადი ფულადი სახსრებით ან/და საარჩევნო სუბიექტის სახსრებით ისეთი სამუშაოს შესრულება ან მომსახურების განხორციელება (გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით მოპოვებული სა-

მუშაოს შესრულებისა ან მომსახურების განევისა), რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განეკუთვნება საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას.

- ქ) საარჩევნო სუბიექტს, რომელიც უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის ან მის სასარგებლოდ მოქმედი ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის მეშვეობით ეწევა ზემოთ აღნიშნულ აკრძალულ საქმიანობას, ასეთი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით უუქმდება რეგისტრაცია.
- ქ) პარტიას ეკრძალება კანდიდატის, წარმომადგენლის ან სხვა პირის მეშვეობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, საქართველოს მოქალაქისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ან არამატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (პარტიის კამპანიის მცირე ღირებულების მქონე აქსესუარების – მაისურების, კეპების, ქუდეების, დროშების და სხვა მსგავსი ნივთების – გარდა), ფასდაკლებით/შელავათიანი პირობებით საქონლის ან მომსახურების მიყიდვა ან მიწოდება, საბაზრო ფასზე მეტ ფასად საქონლის ან მომსახურების შესყიდვა, უსასყიდლოდ საქონლის ან მომსახურების (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა) მიწოდება ან გავრცელება, ან საქართველოს მოქალაქის დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების, მატერიალურ ან არამატერიალურ ფასეულობათა ან მომსახურების (მათ შორის, ფიქციური შრომითი ან სხვაგვარი ურთიერთობების დამყარების) მიწოდებით ან დაპირებით. ეს ქმდება ასევე ეკრძალება ნებისმიერ პირს რომელიმე პარტიის სასარგებლოდ ან სანინააღმდეგოდ.
- ქ) არ არის აკრძალული პოლიტიკურ და საარჩევნო დაპირებები, რომლებიც უკავშირდება საბიუჯეტო სახსრების სამომავლო განაწილებას და სახელმწიფო პოლიტიკის სამომავლო განხორციელებას.

საარჩევნო დღის პროცედურები

საარჩევნო უბნის გახსნა

საარჩევნო უბანი იხსნება კენჭისყრის დღის დილის 7 საათზე.

საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე პროცედურები ტარდება შემდეგი თანამიმდევრობით:

- ა) საარჩევნო უბნის გახსნისთანავე იხსნება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი. წიგნის პირველ და მე-2 გვერდებზე ხელს აწერს მისი გახსნისას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი;

- ბ) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამონმებს იმ დალუქული პაკეტის მთლიანობას, რომელშიც მოთავსებულია საუბნო საარჩევნო კომისიის სპეციალური ბეჭედი, და ხსნის მას;
- გ) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ერთნაირ ფურცლებზე, ერთი და იმავე საწერი საშუალებით ამზადებს წილისყრის ფურცლებს, ამონმებს მათ კომისიის სპეციალური ბეჭდით და კეცავს იმგვარად, რომ შეუძლებელი იყოს ტექსტის წაკითხვა. ცარიელი და შევსებული ფურცლების საერთო რაოდენობა წილისყრის მონაწილე კომისიის წევრთა რაოდენობის ტოლი უნდა იყოს. წილისყრა ტარდება კომისიის თავმჯდომარის მიერ, კომისიის წევრებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით და მასში არ მონაწილეობენ კომისიის თავმჯდომარე/მოადგილე/კომისიის მდივანი. ფურცლები იყრება მაგიდაზე, რომლებსაც წილისყრის მონაწილე კომისიის წევრები სათითაოდ იღებენ;
- დ) კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს
- პარტიების მიერ დანიშნულ კომისიის წევრთაგან გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლებ კომისიის 2 წევრს (აუცილებლობის შემთხვევაში); ამასთანავე, ისინი არ შეიძლება იყვნენ ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი საარჩევნო კომისიის წევრები;
 - კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს, რომელიც აგრეთვე ამონმებს ამომრჩეველთა მარკირებას;
 - ამომრჩეველთა რეგისტრატორ კომისიის წევრებს (სულ ცოტა ერთი წევრი ყოველი 300 ამომრჩეველისთვის), რომლებიც აგრეთვე გასცემენ საარჩევნო ბიულეტენებს, ბიულეტენის უკანა გვერდზე სათანადო ადგილას ხელის მონერის და ბეჭდის დასმის შემდეგ;
 - საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველ კომისიის წევრს;
 - საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისაგან კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს არა უმეტეს 2 წარმომადგენელს, რომლებიც დააკვირდებიან საჩივრების რეგისტრაციის პროცესს. თუ ამ წარმომადგენლებმა დააფიქსირეს (აღმოაჩინეს) დარღვევა საჩივრის რეგისტრაციისას, აღნიშნული საჩივრის რეგისტრაციასთან დაკავშირებით გადანყვეტილებას დადგენილი წესით იღებს კომისია. ამასთანავე, წილისყრით გამოვლენილი წარმომადგენლები და საჩივრების რეგისტრატორი (კომისიის მდივანი) არ შეიძლება იყოს ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი პირი.

- ვ) წილისყრის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე ჩაწერს წილისყრით ფუნქციონირებას განაწილების შედეგებს; კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციის დროებით გადაცემა კომისიის სხვა წევრისთვის შეიძლება მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის ნებართვით, რასაც კომისიის მდივანი აღნიშნავს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე დროის მითითებით.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის, რომელიც კომისიაში გამოცხადდება წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ, შრომის ანაზღაურების საკითხს წყვეტს საოლქო საარჩევნო კომისია, ხოლო მისთვის ფუნქციის მინიჭების საკითხს – საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

- 1) აცხადებს ამომრჩეველთა რაოდენობას ერთიანი და სპეციალური სიების, აგრეთვე ამომრჩეველთა სიის დანართის (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის) მიხედვით;
- 2) ამონიშნავს საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების პაკეტების მთლიანობას და აცხადებს მიღებულ საარჩევნო ბიულეტენთა და სპეციალურ კონვერტთა რაოდენობას;
- 3) ამონიშნავს და ცესკოს მიერ დადგენილი წესით - ინდივიდუალური ნომრის მქონე ლუქით ლუქავს ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებს.
- 4) ამომრჩეველთა ყოველ რეგისტრატორს გადასცემს ყველა სახის საარჩევნო ბიულეტენის თითო ბლოკნოტს, რაც დასტურდება მის თავფურცელზე კომისიის თავმჯდომარისა და რეგისტრატორის ხელმოწერებით. ბლოკნოტიდან ყველა ბიულეტენის გაცემის შემდეგ რეგისტრატორს გადაეცემა მეორე ბლოკნოტი და ა. შ..
- 5) საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი აცხადებს ამომრჩეველთა რაოდენობას ერთიანი და სპეციალური სიებში, მიღებულ ბიულეტენთა რაოდენობას და მონაცემები შეაქვს კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმში, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში და შედეგების შემაჯამებელ ოქმში.

6) კენჭისყრის დაწყებამდე კომისიის თავმჯდომარე და მდივანი ავსებენ საკონტროლო ფურცლებს (გარდა პირველი ამომრჩევლის მონაცემებისა და ჩაგდების დროისა) სამ ეგზემპლარად. პირველი ამომრჩევლის მოსვლის შემდეგ საკონტროლო ფურცელში შეიტანება პირველი ამომრჩევლის გვარი, სახელი, რეგისტრაციის ადგილი და საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, საარჩევნო ყუთებში ჩაგდების ზუსტი დრო; ამის შემდეგ საკონტროლო ფურცლებს ხელს აწერენ პირველი ამომრჩეველი და საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრი;

კომისიის თავმჯდომარე საკონტროლო ფურცლის ერთ ეგზემპლარს აგდებს ძირითად საარჩევნო ყუთში პირველი ამომრჩევლის მოსვლის შემდეგ, მეორე ეგზემპლარს - გადასატან საარჩევნო ყუთში, ხოლო მესამე ეგზემპლარს ინახავს საარჩევნო ყუთებში არსებულ საკონტროლო ფურცლებთან შემდგომი შედარების მიზნით.

კენჭისყრის პროცესი

კენჭისყრის დროს აკრძალულია კენჭისყრის შენობის ჩაკეტვა, კენჭისყრის შეწყვეტა ან შეჩერება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია არჩევნების საყოველთაოობის, თანასწორობისა და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფა.

კენჭისყრა ტარდება კენჭისყრის დღეს 08:00 საათიდან 20:00 საათამდე.

კენჭისყრის ოთახში შესვლისას ამომრჩეველი გადის მარკირების შემოწმების პროცედურას. მარკირების პროცედურა ყველა საარჩევნო უბანზე ხორციელდება.

კომისიის წევრი სპეციალური ხელსაწყო აპარატის მეშვეობით აშუქებს მარკირების ადგილს. თუ ამომრჩეველს მარკირება არ აღენიშნა ეძლევა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. ხოლო თუ გამოვლინდა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება.

კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელმა კომისიის წევრმა კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველი უნდა შეუშვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი არ იმყოფება.

კენჭისყრის ოთახში შესული ამომრჩეველი მიდის იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში შეტანილი მისი გვარის პირველი ასო და ამომრჩეველთა რეგისტრატორს წარუდგენს საქართველოს მოქალაქეის პირადობის მოწმობას ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს, იძულებით გადაადგილებული პირისათვის – ასევე დევნილის მოწმობას (პირადობის მოწმობასთან ერთად). ამომრჩეველთა რეგისტრატორი ამონიშნავს წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში აღნიშნული ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემების ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებთან შესაბამისობას და ამ ამომრჩევლის სახისა და წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში და ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათების ერთმანეთთან შესაბამისობას. შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში ამომრჩეველთა რეგისტრატორი ახორციელებს ამომრჩევლის მარკირებას და ხელს აწერს ამომრჩეველთა სიის სათანადო გრაფაში, რის შემდეგაც ამომრჩეველი ხელმოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენების მიღებას. საარჩევნო ბიულეტენების გაცემისას ამომრჩეველთა რეგისტრატორი ხელს აწერს მათ უკანა გვერდზე სათანადო გრაფაში და ბიულეტენებს ამონიშნავს სპეციალური ბეჭდით;

ამომრჩეველს გადაეცემა სამი სახის საარჩევნო ბიულეტენი: გამგებლის/მერის არჩევის ერთი საარჩევნო ბიულეტენი, საკრებულოს არჩევის ერთი მაჟორიტარული საარჩევნო ბიულეტენი და ერთი პროპორციული საარჩევნო ბიულეტენი.

საარჩევნო ბიულეტენების დამონიშნების შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებს ბიულეტენს (ბიულეტენებს) ამ კანონით დადგენილი წესით. საარჩევნო ბიულეტენების შევსების შემდეგ ამომრჩეველმა ისინი ისე უნდა დაკეცოს, რომ არ ჩანდეს, ვის მისცა ხმა.

დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენებით ამომრჩეველი მიდის განცალკევებით მდგარ მაგიდასთან, საიდანაც დამოუკიდებლად იღებს სპეციალურ კონვერტს და მასში ათავსებს ბიულეტენებს. მხოლოდ ამომრჩეველია უფლებამოსილი, საარჩევნო ბიულეტენები მოათავსოს სპეციალურ კონვერტში; საარჩევნო კომისიის წევრს არა აქვს უფლება, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენები ან სხვაგვარად დაარღვიოს კენჭისყრის ფარულობა.

დაუშვებელია საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა.

საარჩევნო ყუთთან მუდმივად უნდა იმყოფებოდეს საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრი. მას დასურული უნდა ჰქონდეს კონვერტის ჩასაგდები ჭრილი, რომელიც უნდა გახსნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი კონვერტი აქვს.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ ილუქება საარჩევნო ყუთში კონვერტის ჩასაგდები ჭრილი.

საარჩევნო ბიულეტენების შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა: საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, დამკვირვებლისა.

თუ ამომრჩეველს ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან სპეციალური კონვერტი, მან ეს უნდა აცნობოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ჩააბაროს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი /სპეციალური კონვერტი და მიიღოს ახალი. გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენს/სპეციალურ კონვერტს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე, დაენერება "გაფუჭებულია", ხელს მოაწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ცალკე შეინახება.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებსა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს უფლება აქვთ, ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაში შესვლამდე და სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის (ბიულეტენების) ჩადებამდე მოსთხოვონ, უჩვენოს, რომ მას ხელთ აქვს მხოლოდ კანონით დადგენილი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი. ამომრჩეველი ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი კენჭისყრის დღეს ორჯერ, 12 საათსა და 17 საატზე, გადათვლის ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და ეს რიცხვი, შესაბამისი დროის მინიშნებით შეაქვს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემოსტრაციო ოქმსა, ჩანაწერთა ნიგნში და შედეგების შემაჯამებელ ოქმებში.

თუ კენჭისყრის დროს დაირღვა საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა, საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების თაობაზე.

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემა

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 9 საათიდან და სრულდება 19 საათზე. გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანზე უნდა დაბრუნდეს არა უგვიანეს 20 საათისა.

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობის შემთხვევაში ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართავს კენჭისყრის დღემდე 2 დღით ადრე.

ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში აუცილებლათ უნდა იყოს აღნიშვნა, რომ ამომრჩეველი გადაყვანილია ამომრჩეველთა სიის დანართში (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში), რაც დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით.

საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები:

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით წილისყრით კომისიის წევრთაგან შეარჩევს არანაკლებ სამ მთვლელს, ხოლო დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არა უმეტეს ორ მეთვალყურეს (თუ დამკვირვებლები ვერ შეთანხმდებიან, მათგან ორ მეთვალყურეს წილისყრით გამოავლენს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე).

მთვლელები თანმიმდევრულად ითვლიან:

ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიებისა და ამომრჩეველთა სიის დანართის მიხედვით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი შედეგებს აცხადებს და დაუყოვნებლივ შეაქვს სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა

ნიგნში, რის შემდეგაც ცალ-ცალკე შეფუთავს და დალუქავს ამომრჩეველთა ერთიან და სპეციალურ სიებს და ამომრჩეველთა სიის დანართს.

გამოუყენებელ და გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობას, მათი რაოდენობას მდივანი აცხადებს და დაუყონებლივ შეაქვს სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა ნიგნში, რის შემდეგაც იკვრება ცალ-ცალკე პაკეტებად. თითოეულ პაკეტზე უნდა მიეთითოს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, საარჩევნო ბიულეტენების სახე, გამოუყენებელ და გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა. პაკეტები უნდა დაილუქოს და მათ ხელი უნდა მოაწერონ მთვლელებმა და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ.

საარჩევნო ყუთის გახსნა

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამონმებს საარჩევნო ყუთზე ლუქის მთლიანობას. *თუ ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევა, საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა. წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო ყუთი ილუქება და საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება და დალუქული საარჩევნო ყუთი დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.*

მთვლელებს განცალკევებით მდგარ მაგიდაზე გადააქვთ საარჩევნო ყუთები და ადგილს ისე იკავებენ, რომ მოპირდაპირე მხარეს, ორი მეტრის დაშორებით იმყოფებოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები. ამ მთვლელების გვერდით დგება დამკვირვებელთაგან გამოვლენილი ორი მეთვალყურე.

საუბნო საარჩევნო კომისია თავდაპირველად ხსნის გადასატან საარჩევნო ყუთს. მთვლელები გადასატან საარჩევნო ყუთში არსებულ სპეციალურ კონვერტებს ათავსებენ მაგიდაზე, ამონმებენ გადასატან საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლების არსებობას და მას უდარებენ საუბნო საარჩევნო კომისიაში შედარების მიზნით შენახულ საკონტროლო ფურცლებს. ამ საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავების არარსებობის შემთხვევაში მთვლელები ითვლიან იმ სპეციალურ კონვერტებს, რომლებშიც მოთავსებულია საარჩევნო ბიულეტენები.

სპეციალური კონვერტების რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ამომრჩეველთა სიის დანართში (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში) ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობას, თუ იმ სპეციალური კონვერტების რაოდენობა, რომლებშიც მოთავსებულია საარჩევნო ბიულეტენები, ამომრჩეველთა სიის დანართის (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის) მიხედვით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდება, ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიკვრება პაკეტად, დანერება “ბათილია” და საარჩევნო უბანში კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავება გამოვლინდა ან გადასატანი საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ მთვლელები ხსნიან ძირითად საარჩევნო ყუთს.

მთვლელები ძირითად საარჩევნო ყუთში არსებულ სპეციალურ კონვერტებსა და საარჩევნო ბიულეტენს ათავსებენ განცალკევებით მდგომ მაგიდაზე, ამონმბენ ძირითად საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას და მას უდარებენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ შენახულ საკონტროლო ფურცელს. თუ საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავება გამოვლინდა ან ძირითად საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა, ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიფუთება, დაილუქება, შედგება სათანადო ოქმი და დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომიას. თუ ყველაფერი წესრიგში აღმოჩნდა, მთვლელები ერთმანეთში ურევენ ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთებიდან გადმოყრილ სპეციალურ კონვერტებს და ინყებენ საარჩევნო ბიულეტენების დათვლას.

ხმის დათვლა

საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენს ითვლის შემდეგი წესის დაცვით:

1. პირველი მთვლეელი სპეციალური კონვერტიდან იღებს საარჩევნო ბიულეტენს, აცხადებს, ვისთვისაა მიცემული ხმა და ერთი სახის საარჩევნო ბიულეტენს გადასცემს მეორე მთვლელს, მეორე სახისას – მესამე მთვლელს და ა.შ. ხოლო სპეციალურ კონვერტს დებს ცალკე. მთვლელები საარჩევნო ბიულეტენებს აწყობენ ცალ-ცალკე, თითოეული საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემული ხმების შესაბამისად.

2. ცალკე ენყოფა დაუდგენელი ნიმუშის და მთვლელების მიერ ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენები, ცალკე – ის საარჩევნო ბიულეტენები, რომელთა ნამდვილობაც საეჭვოდ იქნა მიჩნეული.

დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა ბათილად, თუ:

1. საარჩევნო ბიულეტენი დამონშებული არ არის ამომრჩეველთა რეგისტრატორის ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით;
2. შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა;
3. სპეციალური კონვერტში აღმოჩნდა დადგენილ რაოდენობაზე მეტი საარჩევნო ბიულეტენი;
4. სპეციალური კონვერტი არ არის დადგენილი ნიმუშისა;
5. საარჩევნო ბიულეტენი საარჩევნო ყუთში აღმოჩნდა სპეციალური კონვერტის გარეშე;
6. საარჩევნო ბიულეტენი განკუთვნილი იყო სხვა საარჩევნო უბნისთვის.

აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ითვლება ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენები და მათ ეწერება “ბათილია”; ეს ბიულეტენები პაკეტად იკვრება, რომელსაც ხელს აწერენ მთვლელები და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მათ რაოდენობას საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი დაუყოვნებლივ აღნიშნავს სადემონსტრაციო ოქმს და ჩანაწერთა წიგნში; სხვა საარჩევნო უბნისთვის განკუთვნილი ბათილი საარჩევნო ბიულეტენები ცალკე პაკეტად იკვრება და მათ რაოდენობა აღნიშნება მხოლოდ ჩანაწერთა წიგნში.

საარჩევნო ბიულეტენების ყოველი პაკეტი უნდა შეიფუთოს და დაილუქოს შესაბამისი ზომის კონვერტში. შეკვრას უნდა დაენეროს საარჩევნო უბნის ნომერი, საარჩევნო ბიულეტენების სახე და რაოდენობა. თითოეული საარჩევნო სუბიექტის კუთვნილი საარჩევნო ბიულეტენების დასტა ცალკე უნდა შეიფუთოს და დაილუქოს. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში.

ყველა მონაცემის დადგენისთანავე საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი არსებული მონაცემების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ავსებს კენჭისყრის შედეგების თითოეული სახის შემაჯამებელ ოქმს.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება:

- ა) საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება, საარჩევნო უბნის ნომერი;
- ბ) გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი იმ საარჩევნო უბნის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც მიმაგრებულია ძირითად საარჩევნო უბანზე;
- გ) არჩევნების/რეფერენდუმის დასახელება;
- დ) კენჭისყრის თარიღი (თუ ეს არის განმეორებითი კენჭისყრა ან არჩევნების მეორე ტური, ესეც უნდა აღინიშნოს);
- ე) საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდისა და ამომრჩეველთა რეგისტრატორების ბეჭდების ნომრები;
- ვ) ერთიან სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა;
- ზ) სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა;
- თ) არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა ამომრჩეველთა სიებში 12 საათსა და 17 საათზე;
- ი) არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა (ამომრჩეველთა სიებში ხელმოწერების მიხედვით);
- კ) მიღებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;
- ლ) ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;
- მ) საარჩევნო სუბიექტების დასახელება, საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა;
- ნ) ოქმის შედგენის თარიღი და დრო;
- ო) ოქმის ის მონაცემები, რომლებსაც არ ეთანხმება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი (ამ ჩანაწერს კომისიის წევრი აკეთებს გრაფაში „განსხვავებული აზრი“ და ხელს აწერს მას).

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების დროს დგება 2 შემაჯამებელი ოქმი. ერთი – პროპორციული საარჩევნოს სისტემით ჩატარებული არჩევნების მიხედვით, მეორე – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით. მერის/გამგებლის არჩევნებისას დგება ერთი შემაჯამებელი ოქმი.

საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი ხელს აწერს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, რითაც დასტურდება მათი ყოფნა საარჩევნო უბანში. ოქმი დამოწმდება საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით. თუ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება საუბნო საარჩევნო კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს, ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი და ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი საარჩევნო ბიულეტენები-სა და ამომრჩეველთა სიების დალუქულ პაკეტთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც აღნიშნულ ოქმს საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმთან ერთად გადასცემს ცესკოს. საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლი გამოაკრას საჯარო გაცნობისთვის.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, მერის/გამგებლის არჩევნებში საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული ოქმების საფუძველზე ადგენს:

- ა) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას;
- ბ) არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას;
- გ) ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობას;
- დ) საარჩევნო სუბიექტისათვის მიცემული ხმების რაოდენობას.

საოლქო საარჩევნო კომისიის თითოეული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი დგება 3 ეგ ზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა ცესკოს, მეორე რჩება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, ხოლო მესამე გადაეცემა შესაბამისი საკრებულოს სამანდატო კომისიას, ხოლო ოქმის დამონმებული ასლები გადაეცემათ პარტიების, საარჩევნო ბლოკების წარმომადგენლებს.

საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლი შედეგების შეჯამებისთანავე, დაუყოვნებლივ გამოაკრას თვალსაჩინო ადგილას საყოველთაო გაცნობისათვის.

არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 10 დღის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისია ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ცნობას შესაბამის ოლქში საკრებულოს არჩევნების შედეგების შესახებ. ცნობაში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე არჩეული საკრებულოს წევრის პარტიულობა (თუ საკრებულოს წევრი უპარტიოა, მიეთითება „უპარტიო“), დაბადების წელი, პროფესია, ძირითადი საქმიანობა, სამუშაო ადგილი.

პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის

საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის დაწესებულია, როგორც ადმინისტრაციული ისე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

საარჩევნო კოდექსი მიხედვით:

- წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება კანონის დარღვევით – გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.
- წინასაარჩევნო მონოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო- და სხვა მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მონყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებების ჩამორთმევა ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელის შეშლა – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი თანამდებობის პირთა მიერ – გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.
- საარჩევნო კამპანიის ჩატარება იმ დაწესებულებათა შენობებში, რომლებიც აკრძალულია კანონით, და ასეთი ნებართვის გაცემა უფლებამოსილი პირის მიერ – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.
- კანონით დადგენილ ვადებში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება სავალდებულო ინფორმაციის გარეშე ან გამოქვეყნებასთან დაკავშირებული სხვა წესების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით.
- პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის კანონით დადგენილი ვალდებულების დარღვევით განთავსება - გამოიწვევს ელექტრონული მედიის საშუალების დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით, ხოლო ბეჭდვითი მედიის საშუალებისას – 500 ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის ზომების გამოყენებიდან ერთი წლის განმავლობაში – გამოიწვევს ელექტრონული მედიის საშუალების დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით, ხოლო ბეჭდვითი მედიის საშუალებისას – 1 500 ლარის ოდენობით.
- საარჩევნო სუბიექტებს, მათ შორის, საარჩევნო ბლოკებს, საარჩევნო ბლოკში შემავალ პოლიტიკურ გაერთიანებებს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებს და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის დარღვევისათვის, აგრეთვე ქმედებისათვის, რომლის მიზანიც იყო პოლიტიკური საქმიანობის დაფინანსების კანონით დადგენილი მოთხოვნებისათვის გვერდის ავლა. პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და ამ კანონით დადგენილი წესით.

- საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის წარდგენის კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა ან/და საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის არასწორი მონაცემებით წარდგენა – გამოიწვევს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების დაჯარიმებას **1 500** ლარის ოდენობით. იგივე ქმედება, ჩადენილი მოქალაქეთა იმ პოლიტიკური გაერთიანების მიერ, რომელიც იღებს სახელმწიფო დაფინანსებას – გამოიწვევს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების დაჯარიმებას **3 000** ლარის ოდენობით.
- საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო კომისიებისათვის საჭირო მასალებისა და მონაცემების წარდგენაზე უარის თქმა ან მათი გადაწყვეტილების შეუსრულებლობა – გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას **1 000** ლარის ოდენობით.
- კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში შეტანილი მონაცემების გადასწორება, რომელიც არ არის დადასტურებული შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი შესწორების ოქმით – გამოიწვევს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან/და შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივნის დაჯარიმებას – თითოეული – **500** ლარის ოდენობით.
- წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისას და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას **2 000** ლარის ოდენობით.
- არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის შემაჯამებელი ოქმის ასლის გაცემის ამ კანონით დადგენილი წესების დარღვევა – გამოიწვევს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან/და მდივნის დაჯარიმებას **1 000** ლარის ოდენობით.
- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირისათვის ჩანაწერთა ნიგში ჩანაწერის შეტანაში ხელის შეშლა – გამოიწვევს შესაბამისი პირების დაჯარიმებას **500** ლარის ოდენობით.
- ადგილობრივი/საერთაშორისო დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მედიის წარმომადგენლების ამ კანონით დადგენილი უფლებე-

ბის შეზღუდვა ან მათი საქმიანობისათვის ხელის შეშლა – გამოიწვევს შესაბამისი პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

- დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მედიის წარმომადგენლების მიერ საარჩევნო კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებით(ბ) გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე; გ) აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ; დ) ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი;) დაკისრებული მოთხოვნების დარღვევა – გამოიწვევს შესაბამისი პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა

- არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა, – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით. იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) სამსახურებრივი მდგომარეობის ან იარაღის გამოყენებით; ბ) მოტყუებით; გ) ძალადობით ან ძალადობის მუქარით; დ) ჯგუფურად – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან სამ წლამდე.
- საარჩევნო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა, რამაც არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის ანდა საარჩევნო უბანში ხმის მიცემის პროცესის ჩაშლა გამოიწვია – ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.
- არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილის ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა, საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის წევრის ან ასეთ კომისიაში რწმუნებულად ან მეთვალყურედ დანიშნულის მიერ საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო დოკუმენტის გაყალბება, ხმების განზრახ არასწორად დათვლა, არჩევნების შედეგების განზრახ არასწორად შეჯამება ანდა რეფერენდუმის ან პლებისციტის შედეგების განზრახ არასწორად დადგენა – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

- **ამომრჩევლის მოსყიდვა** - საარჩევნო მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის (მათ შორის, ფინანსური ინსტრუმენტის), სხვა ქონების, ქონებრივი უფლების, მომსახურების ან სხვა რაიმე უპირატესობის შეთავაზება, დაპირება, გადაცემა ან განწევა, ან წინასწარი შეცნობით ასეთის მიღება, ანდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისათვის თავის არიდების მიზნით მოჩვენებითი, თვალთმაქცური ან სხვა გარიგების დადება – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით.

შენიშვნა:

ამ ქონებაში არ იგულისხმება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების კამპანიის მცირე ღირებულების მქონე აქსესუარები – მაისურები, კეპები, ქუდეები, დროშები და სხვა მსგავსი ნივთები.

პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება სადღესასწაულო ღონისძიების აღნიშვნის ფარგლებში მცირე ღირებულების მქონე, წლის განმავლობაში არა უმეტეს 5 000 ლარის საერთო ღირებულების ნივთების საჩუქრად შეთავაზებისათვის, დაპირებისათვის ან გადაცემისათვის, აგრეთვე ამგვარი საჩუქრის მიღებისათვის.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება პირი, რომელსაც შესთავაზეს ან დაჰპირდნენ საარჩევნო მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის (მათ შორის, ფინანსური ინსტრუმენტის), სხვა ქონების, ქონებრივი უფლების, მომსახურების ან სხვა რაიმე უპირატესობის გადაცემას ან განწევას, ანდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისათვის თავის არიდების მიზნით მოჩვენებით, თვალთმაქცურ ან სხვა გარიგებაში მონაწილეობას, თუ მან ამის თაობაზე ნებაყოფლობით განუცხადა სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელ ორგანოს. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ გადანყვეტილებას იღებს სისხლის სამართლის პროცესის მწარმოებელი ორგანო.

პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პოლიტიკური და საარჩევნო დაპირებებისთვის, რომლებიც უკავშირდება საბიუჯეტო სახსრების სამომავლო განაწილებას და სახელმწიფო პოლიტიკის სამომავლო განხორციელებას.

ამ ქმედებისთვის იურიდიული პირი (გარდა პარტიისა, რომელსაც არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა) ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან/და ჯარიმით.

პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი თანხის ოდენობა (გარიგების ღირებულება) არ აღემატება 100 ლარს.

- არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის დროს სხვისი პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის ან ყალბი დოკუმენტის საფუძველზე ან არაერთგზის ხმის მიცემა – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.
- არჩევნებთან დაკავშირებული დოკუმენტების: საარჩევნო სიების, ოქმების, ბიულეტენების, სარეგისტრაციო ჟურნალების და საკონტროლო ფურცლების განზრახ გაყალბება – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.